საკომო გაზეთი

№34/11 (396) • 16 სექტემბერი, 2016 წ. • პარასკევი • ფასი 1 ლარი

საკვირაო დამატება

„მცხეთის რაიონის მიწები, ვგულისმობ მსხვილ ფართობებს, ჩოჩელის გუბერნატორობის დროს გასხვისდა. როგორ დავიჯერო, რომ მან არაფერი იცოდა რა ხდებოდა, როცა მისი ნებართვის გარეშე ჩიტიც ვერ ფრენდა მთელს რეგიონში“

დიმიტრი ხუნდაძე: ცეზარ ჩოჩელი პარლამენტში შესაშვები კაცი არ არის!

თვითონ „შავები“ და შავბნელი ავაზაკები მერის წინააღმდეგ შავ პიარს აგორებენ?

ამჯერად, სასამართლოში სარჩელს მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებისთვის შევიტანთ

ნარკოტიკი - სახელწოდებით „ნაცმოძრაობა“

„ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები ისევე არიან ფსიქოდამოკიდებული „ნაცმოძრაობაზე“, როგორც ნარკომანები ნარკოტიკზე

პოლიტიკის მთავარი მეზარბაზნეები

ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

დესტაბილიზაციის შესახებ, ანუ მგელი კი არ მოდის, მგელი უკვე მოსულია და სისხლმოწყურებული ჩვენს კარებთან ყმუის

ბიძინა ივანიშვილის შეხვედრები რეგიონულ მედიასთან

იმერეთი

„თბილისის სამეცნიერო ცენტრი და ტექნოლოგიური უნივერსიტეტი — ეს ორი პროექტი ერთმანეთს სჭირდება, რამეთუ იმ საექსპერიმენტო ცენტრის ბაზაზე ჩვენ უნდა მოვახერხოთ და აღვზარდოთ ძალიან ბევრი მეცნიერი. უპირველესად, დოქტორანტების აღზრდა უნდა მოხდეს იქ, რომლებიც პროფესორ-მასწავლებლებად იმუშავებენ, საზღვარგარეთიდანაც დაგვჭირდება მოწვევა. მთავარი ის კი არ არის, რომ მასშტაბურია, არამედ ის, რომ უნდა იყოს ამერიკული და ევროპული სტანდარტი. მოგეხსენებათ, გელათის აკადემია იყო საგანმანათლებლო ცენტრი და ქუთაისმა უნდა დაიბრუნოს თავისი ისტორიული დანიშნულება. არა მხოლოდ ეს, ქუთაისი ინდუსტრიული ქალაქიც გახლდათ. მთავრობას აქვს დიდი სტრატეგიული გეგმა და მეც სიამოვნებით ჩავერთვებოდი ამ პროცესში, რომ ქუთაისმა დაიბრუნოს თავისი ისტორიული მნიშვნელობა.“

* * *

„უბლოკო სტატუსი, მე მგონი, ცოტა ბლეფია. ჩვენ გვაქვს არჩეული ჩვენი სტრატეგიული მიმართულება, რაშიც არა მხოლოდ „ქართული ოცნება“, არამედ, ჩემი აზრით, მთელი საზოგადოებაა შეთანხმებული რომ ჩვენი მიმართულება კონკურენციის გარეშე გახლავთ ევროპა, ევროკავშირი, ევრო-ატლანტიკური სივრცე.

არ მგონია, რომ ქალბატონ ნინოს დიდი შანსები აქვს. რუსეთთან ურთიერთობის დალაგება რომ გვინდა, ამას ჩვენც ვამბობთ და დღესაც შემიძლია გავიმეორო, რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა დავალაგოთ, მაგრამ არა დაკარგული ტერიტორიების ხარჯზე, რაც წყალგალგამყოფი შეიძლება გახდეს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენს დიდ მეზობელთან მშვიდობიანად დავალაგოთ ურთიერთობები — ამაში ნინო ბურჯანაძე ვერ არის გამორჩეული. ჩემი აზრით, მისი პარლამენტში შესვლის შანსები არის დაბალი.“

* * *

„მეორე არჩევანი, თუ არა „ქართული ოცნება“ არის „ოცნების წევრები.

ახლობელს მეტი უნდა უთხრა — ასეთი კაცი ვარ — რაც არ მითქვამს პირში, ისეთი არაფერი მითქვამს საჯაროდ, არაფერი გადამიჭარბებია. რა თქმა უნდა, „რესპუბლიკელებსა“ და „თავისუფალ დემოკრატებს“ მოუწიათ მეტი კრიტიკა. ნინო ბურჯანაძეც და „პატრიოტთა ალიანსიც“ გასაგებია, მარტივად არ ჯდება ჩვენს მიმართულებაში... სხვათაშორის, გასაგებიც არ არის, ძალიან ბევრი კითხვებია — საკუთარი პლატფორმის გამოხატვაც ვერ შეძლეს დღემდე...

დღეს კიდევ გავაგრძელებ „რესპუბლიკელებზე“ — რაღაც დამრჩა სათქმელი. როდესაც „რესპუბლიკელები“ მიმანიშნებენ, რომ მე მრავლპარტიულობის მომხრე ვიყავი ყოველთვის და თითქოს მიმართულება შევიცვალე — სწორედ ამის გამართლებას ვაპირებდი. სამწუხაროდ, მე ეს ვერ შევძელი. არა იმიტომ, რომ მე სურვილი არ მაქვს ამის, არამედ იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ნაკლი გამოჩნდა ამ პარტიების, განსაკუთრებით ამ ორი პარტიის.“

„თანმიმდევრობით მივყვეთ. კოალიციის შიგნით, კოალიციის წევრებიდან ადრე თუ პირველს „რესპუბლიკელებს“ ვასახელებდი, ახლა „დემოკრატებს“ დავასახელებდი და ამასაც ავხსნი — რატომ. „რესპუბლიკელებზე“ კიდევ მაქვს საკრიტიკო, რომ გაიგონ კარგად რა არ მომწონს და რის გასწორებას მოვითხოვ მათგან თუ ჩემი მხარდაჭერა უნდათ. თუ საზოგადოება ასეთს მიიღებს, როგორც დღეს არიან და მაგათაც ასეთი მოსწონთ თავიანთი თავი, ეს მათი ნებაა, რა თქმა უნდა, მე მხოლოდ ჩემი გადმოსახედიდან შემიძლია ვუთხრა რა არის მისაღები და რა — არა.

„თავისუფალი დემოკრატები“ რატომ მირჩევნია დღეს „რესპუბლიკელებს“, ვთქვათ, თუმცაღა, ორივეს პირველ რიგში დავასახელებდი იმიტომ, რომ აქ არ არის კითხვა ჩვენი ქვეყნის ორიენტაციაზე, აბსოლუტურად თანმიმდევრულნი არიან. „მრეწველებსაც“ მივწვდები ამ მხრივ, რატომ არ ვასახელებ.

რატომ — „დემოკრატები“! კოალიციიდან გასვლის შემდგომ როგორ განვითარდა მოვლენები, მე თვალყურს ვადევნებდი, დაფარული არ იყო. გუნდის წევრებიც მაწვდენდნენ ხშირად ხმას, ამასაც არ დავმალავს. გუნდის წევრებმა მოახერხეს გარდაქმნა. ალასანიას შემდგომ შეცდომებში, რომელსაც ის აღრმავებდა სხვათაშორის და უფრო მძიმე შეცდომების დაშვება შეეძლო მას, გუნდი აღარ გადაჰყვა, დაუდგა და მე მგონი, შეცდომები აღარ დააშვებინეს — ამ თემას არ გავშლი. აი, ეს არის ის, რა ცვლილებებიც მოხდა. ამ მხრივ „დემოკრატები“ დღეს უფრო ჯანსაღად გამოიყურებიან, გამაგრდა გუნდი. გუნდის ეს პოზიცია მიტოვებს მეტ ოპტიმიზმს ვიდრე „რესპუბლიკელები“.

დავამატებდი რაც გამომრჩა „რესპუბლიკელებზე“ — რაც ვთქვი, საწყენად მიიღეს, ვხედავ, როგორ გამოსვლებსაც ახერხებენ. აბა, გაიხსენოს უსუფაშვილმა და „რესპუბლიკელებმა“ (ოთხი წელია პარლამენტის თავმჯდომარეა, არც კი მიფიქრია რომ სხვა კაცი შეიძლებოდა ყოფილიყო), იქვეა ხმალაძეც — თითი თითზე არ დაუდევთ! აბა, რა გააკეთეს ოთხი წლის განმავლობაში — არაფერი გაუკეთებიათ! კონსტიტუციაში ძალიან ბევრი კანონი იყო შესაცვლელი, მათ რიცხვში პრეზიდენტზე, რაშიც შეთანხმებული ვიყავით კოალიციაში, რამდენჯერმე მქონდა საუბარი „რესპუბლიკელებთან“. ჩვენ ვერ მოვასწარით კონსტიტუციის შეცვლა, მოგეხსენებათ, „ნაციონალების“ კონსტიტუცია დაგვრჩა. შეთანხმებულები ვიყავით, რომ პრეზიდენტის არჩევა არ უნდა მოხდეს საერთო-სახალხოდ, დაბნეულობას იწვევს ასეთი შეკვეცილი უფლებებით — ეს უნდა შეცვლილიყო. ერთ-ერთი მიზეზი, შევახსენებ ისევ „რესპუბლიკურ პარტიას“, ის, რაც ვუსაყვედურე ადრეც — პრეზიდენტისთვის რომ ესიამოვნებინათ და „რესპუბლიკური პარტიისთვის“ იქნებ ახალი, ვთქვათ, მეგობარი გაჩენილიყო, როგორ „გაუპრავეს“, ვთქვათ, ის სიმახინჯე, რომ შევიდა სააკაშვილის სასახლეში — პირველი გადახტა სხვათაშორის უსუფაშვილი და „გაუპრავა“, აი, ერთ-ერთი მიზეზი და სხვა კანონების, რომელიც კონსტიტუციაში არის დასახვეწი, მათ არ აწყობდათ ეს“.

* * *

„ბევრ კანონებში „ნაციონალური მოძრაობაც“ მიიღებდა მონაწილეობას, ის, რაც გასაგებია და მათთვის პრინციპული არ იყო. სააკაშვილი აღარ არის პრეზიდენტი და მათთვის ეს ინსტიტუტი დიდად საინტერესო აღარაა... და კიდევ სხვა კანონები იყო შესაცვლელი იქ — თითი თითზე არ დაუდევთ. სწორედ ეს მაქვს მხედველობაში — გაითავისონ, რომ არ შეიძლება საკუთარ პარტიას დაახარჯო საერთო სახელმწიფოებრივი საქმეები. სულაც არ მინდა ზედმეტი დაკნინება, ამ პარტიას აქვს თავისი დამსახურებები, მაგრამ... ამან არ მომცა საშუალება რომ მათთვისაც დამეჭირა მხარი, თუ ჩემი მხარდაჭერა მათთვის რამეს ნიშნავს...

ორიოდე სიტყვით „მრეწველებზე“ — „მრეწველები“ კოალიციის წევრები იყვნენ და ასე ვთქვათ, იოლად მიჰყვებოდნენ ძირითად გუნდს, მაგრამ თუ არ გავიხსენებთ გოგი თოფაძის რამდენიმე განცხადებას, რომელიც მის პრორუსულობის ეჭვს იწვევდა. შემდგომ ეტაპზე მათ დახვეწეს ეს მიმართულება და აშკარად პრორუსული კვალი დაედო დღეს „მრეწველებს“. შესაბამისად, ფავორიტებში „დემოკრატებსა“ და „რესპუბლიკელების“ გვერდით ველარ დავასახელებდი.

„ფორუმი“ — გაუგებარია, სამწუხაროდ არ ჩანს ესეც. ერთი გამოჩენა, რაც ვნახე რამდენიმე დღის წინ, სადღაც მაჟორიტარი აირჩიეს და იქაც ძირითადი, რაც ჰქონდათ განცხადება, რომ ბიძინა უნდა დამთავრდეს პოლიტიკაში. შესაბამისად, მათზეც ბევრს ვერაფერს ვილაპარაკებ.“

* * *

„უშიშროების სამსახურს ხელმძღვანელობს გომელაური, რომელიც არის აბსოლუტურად მოწესრიგებული კაცი და რეაქციასაც გააკეთებს, თუ რეგიონებში ეს ხდება, რომ უშიშროება კარნახობს ადმინისტრაციის უფროსს ან გამგებელს — ეს აბსოლუტურად მიუღებელია. ერთადერთ გამამართლებელს რასაც ვიტყოდი, თუ ძველი თანამშრომლები ბრუნდებიან, პროფესიონალიზმი შეიძლება იყოს, რაც ყველა მიმართულებით სავსეა, ნებისმიერი კაცი შეიძლება მიიყვანო და დანიშნო. ესეც ნუ იქნება ტრაგიკული — თუ მას კანონი არ დაურღვევია თავის დროზე, ასე ხაზგამყოფად ნუ ჩავთვლით პრინციპულად. თუ მაშინ მსახურობდა და დღესაც სჭირდება სახელმწიფოს, ამაზე უარს ნუ ვიტყვით, ამას ვიტყოდი დასაცავად, მაგრამ იმ ნაწილში, კატასტროფაა, თუ ესენი მოდიან და პრეტენზია აქვთ უშიშროების სამსახურის თანამშრომლებს რომ გამგებელს და გუბერნატორს მიუთითონ, ეს ნამდვილად კატასტროფაა“.

* * *

„პოლიციამაც არ შეიძლება თანამშრომელი ჭორებისა და პირველივე შეკითხვაზე დააპატიმროს... საუბედუროდ, სანამ თანმიმდევრობით ვითარდებოდა პროცედურა, დამნაშავემ მოასწრო მიმალვა, მაგრამ გარწმუნებთ, ძიება გაგრძელდება და დანაშავე შესატყვისს მიიღებს. პოლიციის ზოგადი დამოკიდებულება თუ გაშფოთებთ — რა თქმა უნდა, გასაღები არის ის, რომ რეფორმები უნდა გაგრძელდეს და გაღრმავდეს — საკმარისი არ იყო რაც მოხდა, მაგრამ კარგი იყო რაც გაკეთდა. შეიძლება ვთქვათ, რომ დიამეტრალური ცვლილებები მოხდა და დღეს პოლიცია არის ხალხის სამსახურში და პოლიციელებსაც მადლობა უნდა გადავუხადოთ. დღევანდელი პოლიცია

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავლის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

ჩვენი პოლიციაა, სახალხო პოლიციაა. გადაცდომებს ნუ გავავრცელებთ ისე, რომ მთლიანად პოლიცია დავთრგუნოთ. მინისტრიც, მთავრობაც, მოწოდებულია იმისთვის რომ პოლიცია იყოს ხალხის სამსახურში. მე შეგახსენებდით კვლევებს — „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს საქართველო შედიოდა 70 მაფიოზურ ქვეყანაში, დღეს საქართველო არის მე-17 ადგილზე ყველაზე უსაფრთხო ქვეყნების ოცეულში.“

* * *

„მოკლე პასუხი თუ გინდათ — ერთი კაცის სამსახურში იყო მთელი სახელმწიფო და მთელი საზოგადოება, ამ პატარა ჯგუფს, რომელიც დღესაც ბობოქრობს და ოცნებობს დაბრუნებაზე, 4 წლის განმავლობაში კი გყავთ ხელისუფლება, რომელიც ხალხის სამსახურშია, უპირველესად — მთავრობა.“

* * *

„სიამოვნებით ავკრძალავდი აზარტულ თამაშებს, მაგრამ ესეც ეკონომიკაა და მკვეთრი დამოკიდებულება თურმე არ შეიძლება ამაზე. განსაკუთრებით აჭარაში, ბათუმში, თურმე ამას სერიოზული პოზიცია უჭირავს როგორც ბიზნესს და ქვეყნის განვითარებაში ამასაც თავისი ადგილი აქვს. სასტიკად უნდა გამკაცრდეს არასრულწლოვანების მისვლა! არ დაგიმალავთ, ისიც კი მქონდა იდეად, იქნებ მოვახერხოთ და ადგილობრივები არ შევუშვათ ამ კაზინოებში... ალბათ, კანონმდებლობასთან ეს შეუთავსებლობაში მოვა... ძალიან ბევრი ტურისტი ჩამოდის და ტურისტების დინებასაც უწყობს ხელს კაზინოების არსებობა — ეს ფაქტია და ვერ უარვჰყოფთ ამას. თუ რამე კანონმდებლობას მოვიფიქრებთ და მაქსიმალურად გავამკაცრებთ... — უამრავი ოჯახი გაუბედურდა — ვიცი ეს რა არის... მახსოვს, ერდოღანთან შეხვედრა რომ მქონდა, პირველი ეს მთხოვა, იქნებ ეს კაზინოები დახუროო – იქიდან ჩამოსულებიც უბედურდებიან ბევრი, მაგრამ რა ვქნათ, ბიზნესის სახეა.“

* * *

„რუსეთში დიდი ხანია გავყიდე ყველაფერი. რაც შეეხება ბიზნესს, საქართველოში ბიზნესი არ მაქვს სამწუხაროდ, მაგრამ ჩემს ფულს მთლიანად საქართველოს ვახმარ. ეს მითქვამს რამდენჯერმე, მაგრამ ამას ჟურნალისტები რატომღაც ყურადღებას არ აქცევენ, რომ ჩემი ხარჯების 98-99%-იდან, რასაც ვხარჯავ ბოლო 20 წლის განმავლობაში 1-2% თუ მიდის ჩემს საკუთარ ოჯახსა და პირად მოხმარებაზე, დანარჩენი მიდის საერთო მოხმარებაში, მინიმუმ 90%-ს ჩემს ქვეყანას მოვახმარ, ეს მითქვამს და დღესაც გავიმეორებ. სამწუხაროდ, ბიზნესის სახით ეს ვერ მოვახერხე, მაგრამ უნივერსიტეტი, მაგალითად და სამეცნიერო ცენტრი, რაც თბილისში დაფუძნდა, მილიარდ ევროზე მეტი დაჯდება და ა.შ“

* * *

„ამაზე ბუნებრივი გაერთიანება ვერც-კი წარმომიდგენია. რანაირად შეიძლება კუბლაშვილისა და ვაშაძის გაერთიანება იყოს არაბუნებრივი და კაციტაძის. თუ გახსოვთ, გამყრელიძემ პოლიტიკა დატოვა მხოლოდ იმ ნიშნით, რომ ლამის მთელმა საზოგადოებამ გაიგო რომ „ახალი მემარჯვენეები“ იყვნენ ფსევდოპოზიციური პარტია და ეს იყო „ნაცონალური მოძრაობის“ შემადგენელი ნაწილი. დღეს იქიდან ასეთი ერთადერთი დარჩა „ლეიბორისტული პარტია“. „ქრისტიან-დემოკრატიულმაც ნახა რომ საფუძველი გამოეცალა, ჩაეშალა. ნათელაშვილმა ნახა რომ წასასვლელი არსად არ ჰქონდა (იმიტომ რომ მაგაზე კომპრომატები აქვთ უამრავი და დღესაც ამუშავებენ ისევ „ნაცები“). კაციტაძეც, ჩვეულებრივ, იყო „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი — ამაზე ბუნებრივი გაერთიანება რა შეიძლება ყოფილიყო. ასეთი ჩახლართული სიტუაციები და ხელწერა გახლავთ სააკაშვილის — ყოველთვის ცდილობს საზოგადოების მოტყუებას. მადლობა ღმერთს, ეს კარგად გაირკვა და ასევე კარგად გაირკვა ბურჭულაძეზე. რას ნიშნავს არაბუნებრიობა, ვერ გამიგია — არასერიოზული განცხადებაა...

ბურჭულაძის პირველი განცხადებები გაიხსენეთ! მერე, რა არაბუნებრიობა მიაჩნიათ ის, რომ ნახეთ, სააკაშვილთან უკრაინაში რამდენჯერ ჩასულა და ძირითადად იქ დადის ეს კაცო, ფოტოები გამოქვეყნდა, ჩახუტებული სააკაშვილთან. სამი წელია არ მინახავს ეგ კაცი და ნაწყენი ვარ რომ არ დავმალო. თავის დროზე, როდესაც ვთხოვე, გვერდზე დაგვიდექი-თქო, უამრავი ფული მოითხოვა და შეურაცხყოფილი იყო რადგან უარი ვუთხარი. იმის შემდეგ დაბადების დღის 60

წლისთავი სამჯერ გადაიხადა სამი წლის განმავლობაში და არც ერთხელ არ მივსულვარ... თუ არ წაუკითხავს ლევან ბერძენიშვილს ბურჭულაძის განცხადებები ნახოს — აბსოლუტურ თანხვედრაში იყო „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებებთან და საიდან აიღო. კარგი იქნება, თუ „რესპუბლიკელები“ ახალ უბედურებას არ გადაეყრებიან, ძალიან ემოციურები არიან. ნათელმხილველობას ნუ გაყვებიან, ამის არავითარი საფუძველი და დოკუმენტები მას არ გააჩნია.

უსუფაშვილმაც თქვა მგონი სადღაც, გაჩერდეს თორემ მეც ავლაპარაკდებიო და იქნებ, ეს რომ გავაერთინოთ რაღაც... ოდესღაც, უსუფაშვილი მოვიდა, რომელიც ძალიან ახლო მეგობარია კუბლაშვილის, ორჯერ თუ სამჯერ მოვიდა, კუბლაშვილს უნდა გამოსვლა „ნაიონალური მოძრაობიდანო“ და ძალიან კარგია, რაც შეიძლება მხარს დავუჭერ-მეთქი, — მეტი რა უნდა მექნა. თუ ხედავთ, დავუჭირე კიდეც, მე განცხადება გავაკეთე, ლამის ვაჟკაცობად ჩავუთვალე, რომ გვიან, მაგრამ მოახერხა და დატოვა „ნაციონალური მოძრაობა“ — მართლაც ასე მეგონა თავის დროზე. იქნებ, ასეთი ტიპის საიდუმლოებები აქვს უსუფაშვილს...

საერთოდ, კაცი რომ ამბობს, სათქმელი მაქვს და არ ვამბობ, უპირველესად საკუთარ თავს აყენებს შეურაცხყოფას. ძალიან ვთხოვდი, თუ რამე სათქმელი აქვს, გამოფინოს, არაფერი მსგავსი არ მაქვს მე — „ინსაიდს“ რომ ეძახიან და კიდევ „სკილეტი შკაფშიო“ იციან თუ რაღაც, ამას ეძებენ „ნაციონალები“ მოსვლის პირველი დღიდან. რასაც ვაკეთებ მე, შიგნით რასაც ვამბობ, იმის გარეთ გამოსვლის არ მეშინია. შესაძლებელია, დროში არ მაწყობდეს და არ ვამბობდე იმას, მაგრამ ჩემი გაკეთებულის შემრცხვეს და მომერიდოს, არაფერი არ არის ამის მსგავსი. თუ უსუფაშვილი ამაზე მიანიშნებს, საკუთარ თავს აყენებს შურაცხყოფას უპირველესად, თუ რამე იცის და უმალავდა ხალხს, ეს სირცხვილია...

ისე დაპატარავდნენ ახლა, რაღაც ძალიან „პატარა კაცების“ როლში გადავიდნენ რომ ასეთს ჰყვებიან, ასეთ რაღაცებს მიანიშნებენ. საწყენი ის არის, რომ არ მინდა „პატარა კაცებად“ გამოჩდნენ და მოვუწოდებდი, ღირსებას ნუ დაკარგავენ, თუ რამე აქვს სათქმელი, გამოვიდეს და თქვას! — მე არაფერი გამიკეთებია ისეთი, რომ ჩემი განაკეთების შემრცხვეს.

შეიძლება, ამაზე მიანიაშნებს-მეთქი, ეს გამახსენდა ახლა კუბლაშვილის დაფინანსებაზე — გაჩერდეს თორემ მეც ავლაპარაკდებიო — ილაპარაკოს რამდენიც უნდა!

მეგობარი ეგ იყო მაგ კუბლაშვილის და მოიტანა ინფორმაცია. სხვათაშორის, უფრო მეტს ვიტყვი, ბაქრაძეზე ყველაზე მეტი მცდელობები მქონდა, დატოვე და წამოდი-მეთქი, — მეგონა რომ უფრო მოწესრიგებული კაცი იყო. სტრასბურგში შევხვდი, მთელი საათი „ვაწვებოდი“, არ გცხვენია, რას ამბობ, ადექი, გამოდი! როდესაც უსუფაშვილმა ეს მოიტანა კუბლაშვილისგან, რა თქმა უნდა, გამიხარდა და მხარს დავუჭერ-მეთქი.

იმის შემდგომ, ვაშაძესთან რომ გაერთიანდა და ბურჭულაძეც იქ შევიდა, მეც მივხვდი რომ ეს ტრიუკი იყო რაღაც და რა თქმა უნდა, ამის შემდეგ საქებარი არაფერი არის — ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ნაღები. ნახეთ, ვინ შევიდნენ აქ, ყველაზე მაგარი იურისტი ეგ იყო სწორედ (ვინც მართავდა მაგათ იურიდიულად), კუბლაშვილი, უამრავი უბედურებები რომ მოუტანა ქვეყანას. ის კანონი, უეცრად რომ შემოიღეს, გირგვლიანის მკვლელებისთვის რომ შეემსუბუქებინათ, იქაც კუბლაშვილი „ვაჟკაცობდა“ და ბევრი კიდევ; ვაშაძე — საკაშვილის ფავორიტი, ჩემი ბატონო; „მიშა მაგარიაც“ კი იქა ჰყავთ (ვინც დაწერა) — ნაღები „ნაციონალები“ არიან, ეს ვინ ვერ უნდა დაინახოს.

მე არ ვიცი რა უნდა ბერძენიშვილს! სხვათაშორის, აი, კარგი იდეა მომივიდა — იმას, რაზეც მივანიშნებ მუდამ, რომ აქ მთავრდება და აქ იწყება „რესპუბლიკურ პარტიაზე“, ახლაც, რა უნდა ბერძენიშვილს? მარტივი ტრიუკები კეთდება ამ გაერთიანებაში, რაც დაარქვეს, რომ უნდათ დაარწმუნონ, ივანიშვილთან არის მიტმასნილი ან ვიღაცასთან, ბურჭულაძე იმიტომ არის იქ შესული, რომ აიღონ არანაციონალური მოძრაობის ხმები. ბერძენიშვილი რომ ამას საუბრობს და საბუთები არ აქვს, სწორედ ამაზე მივანიშნებდი. რა უნდათ, „ნაციონალებთან“ რომ აღმოჩდნენ ძალიან ხშირად პრინციპულ პროექტებში, ესეც იმის მსგავსი ხომ არ არის? იქნებ ძიება შორს არც კი დაგვჭირდეს. რა უნდა ბერძენიშვილს ნათელმხილველობა რომ დაიწყო, რა პოზიცია უნდა აჩვენოს, რომ ისინი არ არიან „ნაციონალური მოძრაობიდან“ და სხვა მინდვრიდან უნდა მიიღონ ხმები, საზოგადოების დაბნევა უნდათ? ვის ემსახურება, რას ემსახურება — მე მგონი, აქაც მაგათი ხელწერაა, ამ შემთხვევაში.“

„გარწმუნებთ, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების დაპატიმრებებზე, პრაქტიკულად, კითხვები აღარ არის, მხოლოდ თვითონ ყვირიან რომ პოლიტპატიმრები არიან — შეკითხვები აღარ არის არც ევროპაში და არც აშშ-ში. საოცრება მოხდა! დამისახელეთ რომელიმე ქვეყანა, სადაც ამდენი მაღალჩინოსანი დაისაჯა და ამ დროს ქვეყანამ დემოკრატიულობის ნიშნით მკვეთრად წინ წაიწია.“

ნარკოტიკი – სახელწოდებით „ნაცმოძრაობა“

„ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები ისევე არიან ფსიქოდამოკიდებული „ნაცმოძრაობაზე“, როგორც ნარკომანები ნარკოტიკზე

„ყველაზე მეტი მხარდამჭერი, როგორც აჩვენებს გამოკითხვა, „ნაციონალურ მოძრაობას“ სწორედ სამეგრელოში ჰყავს“, — ბიძინა ივანიშვილის ეს სიტყვები ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ ოპონენტებმა, აგრეთვე, „ნაცმოძრაობასთან“ გარიგებულმა მედიაშუალებებმა ისე გაიგეს და ისე გააფორმეს, როგორც მათ აძლევდათ ხელს.

— აი, ხომ ხედავთ, თვით ბიძინა ივანიშვილიც აღიარებს, რომ „ნაცმოძრაობა“ სამეგრელოში სერიოზულ ძალას წარმოადგენს და მას არჩევნებში

გამარჯვების დიდი შანსი აქვსო! — აცხადებენ ისინი.

არადა, ბიძინა ივანიშვილს ის ხომ არ უთქვამს, სამეგრელოში „ნაცმოძრაობას“ უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე „ქართულ ოცნებას“ და ჩვენი გამარჯვება ამ რეგიონში სათუოაო. მან თქვა, რომ „ნაცმოძრაობას“ სამეგრელოში შედარებით მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე სხვა რეგიონებში.

ჩვენი ინფორმაციით, „ნაციონალების“ მხარდამჭერთა რიცხვი არც სამეგრელოშია საგანგაშოდ მაღალი და ის 10-12 პროცენტს არ აღემატება, თუმცა განსაკუთრებული აქტიურობის და ოგრანიზებულობის წყალობით, „ნაციონალები“ ახერხებენ, ისეთი სურათი დახატონ, თითქოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მათ გვერდით დგას.

წავიდა ის დრო, როცა სანდრა რულოვსი საგანგებოდ დაზეპირებული რამდენიმე მეგრული სიტყვით (მან მეგრული არ იცის, იცის მხოლოდ საგანგებოდ დაზეპირებული ორიოდე წინადადება) და ასევე საგანგებოდ დასწავლილი ერთადერთი მეგრული სიმღერით მეგრელების გულის აჩუყებას ახერხებდა.

მეგრელებმა დღეს უკვე შესანიშნავად იციან, ვინ არის სინამდვილეში სანდრა რულოვსი, ვინ არის ავანტურისტი საკაშვილი და მთლიანობაში რას წარმოადგენს „ნაცმოძრაობა“, რომელმაც საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე მეტად სწორედ სამეგრელო დააზარალა და დააზიანა.

არაოფიციალური სტატისტიკით ყველაზე მეტი პატიმარი და ყველაზე მეტი პრობაციონერი სწორედ სამეგრელოდან იყო („საერთო გაზეთი“ შეეცდება, უახლოეს ნომრებში ზუსტი ციფრები მოგაწოდოთ). წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებიც ყველაზე მეტი სწორედ სამეგრელოს მოსახლეობამ იწვნია, ყველაზე მეტი „ჯაშუში“ და „აგენტი“ სწორედ სამეგრელოში იქნა „გამოვლენილი“.

ყოველივე ამის შემდეგ როგორი უთავმოყვარეო, ზნეობრივი პრინციპებისგან როგორი დაცლილი უნდა იყო, რომ „ნაცმოძრაობის“ ფაშისტურ რეჟიმს ხმა მისცე და მის გვერდით დადგე.

ნებისმიერ საზოგადოებაში, ნებისმიერ ხალხში ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება რაღაც ნაწილი ადამიანებისა, რომლებსაც ვერაფერს შეასმენ, ვერაფერს აუხსნი და ერთხელ აკვიატებულ და ტვინში ჩაჭედილ აზრს ვერ გადაადქმევინებ.

ასეთ ადამიანებს, სინამდვილეში, აშკარა ფსიქიკური პრობლემები აქვთ და მათი განთავისუფლება და განკურნება ამ სენისგან ძალიან ძნელია, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ისინი ადვილად ემორჩილებიან ჰიპნოზს, ფსიქოლოგიურ ზეწოლას, პიარტექნოლოგიების საშუალებით განხორციელებულ სხვადასხვა ტიპის მანიპულაციებს.

„ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერთა მასა, როგორც სამეგრელოში, ასევე მთლიანად საქართველოში, ძირითადად სწორედ ასეთი ადამიანებისგან შედგება, თუმცა, ამასთან ერთად „ნაცმოძრაობას“ ჰყავს კარგად გაწვრთნილ და დატრენინგებულ პოლიტხელთა და პოლიტინსტრუქტორთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი გუნდი, რომლებიც დაოსტატებულნი არიან ადამიანებისთვის ტვინის გამორეცხვაში და სხვა ათასგვარ მანიპულაციებში, რომელთა მეშვეობითაც ეს ადამიანები აბსოლუტურად მართულნი და „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგიურ წნეხზე ფსიქოდამოკიდებულნი ხდებიან.

ხალხი მდედრობითი სქესისაა, ნათქვამია.

ხალხს, თუ მთლიანად ხალხს არა, მის ერთ ნაწილს მაინც, უყვარს და მოსწონს, როცა ხელისუფლება ძალის დემონსტრირებას ახდენს და, ფაქტობრივად, მასზე ძალადობს სხვადასხვა ფორმებით.





დროთა განმავლობაში ადამიანები ძალადობას ეჩვევიან და, უფრო მეტიც, მოძალადის მიმართ გარკვეული სწრაფვა და სიმპათიები უჩნდებათ, რომელიც რაღაცით ჰგავს სადომაზოხისტური ხასიათის სექსუალურ ლტოლვას.

კაცობრიობის ისტორია, თუნდაც გასული საუკუნის ამბები, უტყუარი დადასტურებაა იმისა, რაც ზემოთ ვთქვით. ბატონი **ბიძინა ივანიშვილი** ზუსტ შეფასებას აძლევს და ზუსტად შიფრავს „ნაცმოძრაობის“ ქმედებებს, როცა ამბობს: როგორ ექცეოდნენ საზოგადოებას — ძალადობა იყო კულტი! დღესაც თუ ნახავთ მათ ხელწერას, მხოლოდ ძალადობას ვერ ანებებენ თავს და ეს არის მთელი პრობლემა დღევანდელი „ნაციონალური მოძრაობისაც“. დასაწყისიდან, როდესაც ვაკრიტიკებდი, განადგურებას მაბრალებდნენ, „ნაციონალური მოძრაობის“ განადგურება უნდა, და ა.შ არა, როგორ გეკადრებათ, არავის განადგურება არ მინდა, მინდა ყველას კარგად ეცხოვრებოდეს ამ ქვეყანაში, მაგრამ მათ უარი უნდა თქვან ძალადობაზე. გავიმეორო, რა ხდებოდა ქვეყანაში? — კარ-

გად იცით, ხომ? არც მალავენ სხვათაშორის. აბა, ნახეთ, გაიხსენეთ ერთ-ერთი მათი ლიდერის, ჭიაბერაშვილის (თურმე ფილოსოფოსი ყოფილა) მაშინდელი ნაწერები, რეალურად ამ იდეოლოგიით ცხოვრობდნენ — ქაოსურ და გაუგებარ დემოკრატიას სტაბილური ავტოკრატია სჯობსო. ამიტომ, ჯობია ერთმა კაცმა, ერთმა გუნდმა სტაბილურად მართოს ქვეყანა და ეს უნდა დასავლეთსაც, — დაახლოებით ამ იდეოლოგიას ატარებდა. ახლა, თუ ამას დავამატებთ სააკაშვილის მეუღლის გამონათქვამს, რომ თურმე ხალხს უნდა ეშინოდეს მიშასი; რომ მიშა ასეთია და დღეს გვეუბნებიან რომ თვალებში ჩახედა და იმას აღარ იკადრებს რასაც კადრულებდა — რას აღარ იკადრებს, გაუპატიურებები აღარ იქნება? მკვლელობები აღარ იქნება? წამებები აღარ იქნება? რის გარანტიას გვაძლევენ, რას გვპირდებიან?

ის, რომ იდეოლოგია, რითიც ისინი მოვიდნენ, პრაქტიკულად, გახსნილად იყო ძალადობრივი და ამით ააშენებდნენ დემოკრატიას და გააძლიერებდნენ ეკონომიკას. რაც მივიღეთ, ძალიან კარგად ვნახეთ, ერთი ჯგუფის მართული ქვეყანა როგორი იყო, „ელიტარული კორუფცია“, როგორ ინაწილებდნენ მთელ ბიზნესს, მონოპოლიზებული მედია, როგორ აწამებდნენ ციხეებში და აწამებდნენ არა ისე, რომ ეს დამალული ყოფილიყო...

მახსოვს, ერთ-ერთი ჩემი თანაგუნდელი იხსენებს, თუ არა ის კადრები, რომელიც ციხიდან გამოვიდა, ჩვენ არჩევნებს ვერ მოვიგებდითო. დაემთხვა, რომ ჩვენ ჩავატარეთ კვლევა სწორედ მანამდე და მის შემდეგ, არც ერთი პროცენტი „ქართულ ოცნებას“ არ მომატებია. ისინი ამ ძალადობას არ მალავდნენ და ეს მათი ხელწერა კი არ იყო, მათი კოზირი იყო. ხალხს აშინებდნენ, თუ ასე არ მოიქცევი, შეხვალ ციხეში და სიკვდილი

გელოდებაო. საზოგადოებაში ეს ხმები და ეს კადრები გამაოგნებელი არ იყო, გამაოგნებელი იყო უცხოელებისთვის, მათზე ამან კარგად იმუშავა, მაგრამ ესენი ამას რეკლამას უკეთებდნენ პირდაპირი მნიშვნელობით. აბსოლუტურად უდანაშაულოს იჭერდნენ ხშირად, რომ მეზობელს დაენახა — აი, შენც თუ არ გაჩერდები და არ გაჩუმდები, სწორედ რომ ეს მოგელისო!

ციხეებშიც, რაც ხდებოდა, ამას თვითონვე ავრცელებდნენ, რომ ის ციხე ვერ იქნებოდა კომფორტული ვერავისთვის, იქ თუ მოხვდებოდი სიკვდილთან ახლოს იქნებოდი — აფორმებდნენ ძალადობას და ძალით იჭერდნენ ხალხს.

...აბა, ნახეთ დღევანდელობა, დღეს ნახეთ მათი ხელწერა, „ნაციონალური მოძრაობის“, თუ არ არის ისევ ძალადობრივი, რითიც შეუძლიათ, იმით ძალადობენ.

რომელ შეცდომებს აღიარებენ, რომ კლავდნენ, რომ აწამებდნენ, რომ ძარცვავდნენ, რომ მთელ ბიზნესს ინაწილებდნენ? — ეს უნდა განმარტონ ვინც ამბობს. თვალებში რომ ჩახედა, გამობრძანდეს და განმარტოს, რას გვპირდებიან, რომ აღარ გააუპატიურებენ? აღარ მოგვიკლავენ შვილებს? აღარ წაგვართმევენ ბიზნესს? — ამას გვპირდებიან? რა შეცდომებზეა საუბარი? ეს „შეცდომა“ შემოიტანეს ისე ლამაზად, ისე ლაღად, რომ თითქოს რაღაც შეეშალათ, მარჯვნივ კი არ წავიდნენ მთლად, ცოტა, ოდნავ, მარცხნივ შეუგანეს“...

„სირცხვილია, 250 000 კაცი ისევ „ნაციონალურ მოძრაობას“ რომ ელოდება. რა უნდათ, ისევ ძალადობა უნდათ? ისევ ცოცხებს ელოდებიან?“ — გულწრფელად გაკვირვებულია ბიძინა ივანიშვილი.

დიახ, დიახ, ისევ ცოცხებს ელოდებიან, ისევ ძალადობა უნდათ, ოღონდ ძალადობა და ცოცხები უნდათ არა საკუთარი თავისთვის, არამედ სხვებისთვის.

ადამიანთა ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ყველა ადამიანში არა, მაგრამ ადამიანთა ერთ ნაწილში, რაღაც დოზით ზის არარეალიზებული მოძალადე და დესპოტი, არარეალიზებული მკვლელი და მანიაკი.

ამ ადამიანების აუხდენელი ვნებები და სურვილები ხშირად მმართველი დესპოტების, ტირანების და ჯალათების ქმედებებში განსხეულდება და განხორციელდება ხოლმე.

მათ მოსწონთ და უყვართ თავიანთი კუმირი ჯალათები, რადგან სწორედ მათი ხელით უსწორდებიან დანარჩენებს და, აქედან გამომდინარე, მათი ძალაუფლების მოწილეებად მიიჩნევენ თავს.

„ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები ისევე არიან ფსიქოდამოკიდებული „ნაცმოძრაობაზე“, როგორც ნარკომანები ნარკოტიკზე

„ნაცმოძრაობა“ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ლაბორატორიაში შექმნილი კუსტარული ნარკოტკია, რომელიც ისევე ანგრევს ადამიანების ფსიქიკას, როგორც „კრაკადილი“, „ვინტი“ თუ „ბიო“

სააკაშვილის მხარდამჭერები იგივე სააკაშვილები არიან, შეუმდგარი, არარეალიზებული სააკაშვილები, რომლებსაც ძალაუფლება რომ მისცე, იგივეს გააკეთებენ, რასაც სააკაშვილი აკეთებდა.

8 ოქტომბრის არჩევნები ნათლად გამოაჩენს, იმ ერთი სააკაშვილის გარდა კიდევ რამდენი „სააკაშვილი“ ჰყავს ქართველ ერს და კიდევ რამდენი ადამიანია სამკურნალო?

„საერთო გაზეთი“

დიმიტრი ხუნდაძე:

ცეზარ ჩოჩელი პარლამენტში შესაშვები კაცი არ არის!

„მცხეთის რაიონის მიწები, ვგულისმობ მსხვილ ფართობებს, ჩოჩელის გუბერნატორობის დროს გასხვისდა, როგორ დავიჯერო, რომ მან არაფერი იცოდა რა ხდებოდა, როცა მისი ნებართვის გარეშე ჩიტიც ვერ ფრენდა მთელს რეგიონში“

მართალია, საარჩევნო ციებცხელებამ მთელი საქართველო მოიცვა, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე „ცხელ წერტილი“ მაინც მცხეთაა, სადაც მაჟორიტარი დეპუტატობისთვის ბრძოლაში მთავარი კონკურენტები „ქართული ოცნების“ მოქმედი მაჟორიტარი, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **დიმიტრი ხუნდაძე** და დღეს დამოუკიდებელ კანდიდატად მოვლენილი, „ნაცმოძრაობის“ ყოფილი აქტიური სახე, მცხეთა-მთიანეთის ექსგუბერნატორი **ცეზარ ჩოჩელი** არიან. ეს უკანასკნელი თავის გამარჯვებაში დარწმუნებულია და იქაურებს არამარტო ქალაქ მცხეთის, არამედ მთელი რაიონის „აყვავება-გაბრწყინებას“ პირდება. საინტერესოა, ბატონ ჩოჩელს გუბერნატორობისას (2008-2012 წლები) რა უშლიდა ხელს, სატელევიზიო და საგაზეთო ინტერვიუებიდან რომ გვიმტკიცებს, მცხეთის აღორძინების მთავარი „ხელისშემშლელი“ დიმიტრი ხუნდაძეაო, რომლის ინიციატივითაც თურმე დაკონსერვებულა ცეზარ-ბატონის „გრანდიოზული“ პროექტები, 2012 წლამდე სად იყო ხუნდაძე? ჩოჩელს მაჟორიტარობა თურმე იმიტომ უნდა, რომ ხსენებული პროექტები განახორციელოს, მისი განუხორციელებელი გეგმების ავკარგიანობაზე ქვემოთ მოგახსენებთ, მაგრამ როგორ დავიჯეროთ, რომ ამ კაცს დეპუტატის მანდატი უფრო მეტ შესაძლებლობებს მიანიჭებს, ვიდრე გუბერნატორობისას ჰქონდა, მით უმეტეს, რომ „ქვეყნის ხერხემლის“ ფავორიტად ითვლებოდა. დიმიტრი ხუნდაძესთან ტელედებატებისას, ბატონი ჩოჩელი საკმაოდ უსუსურად გამოიყურებოდა და ოპონენტის ყველა ნათქვამს, განსაკუთრებით მისი გუბერნატორობისას გასხვისებულ მიწებთან დაკავშირებით, დემაგოგიად ნათლავდა.

რა „დაკონსერვებულ“ პროექტებს მისტირის ექსგუბერნატორი, ვისზე და როგორ გასხვისდა მცხეთის რაიონში მიწები, ამ და სხვა საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით, „საერთო გაზეთს“ ბატონი **დიმიტრი ხუნდაძე** ესაუბრა, რომლის განცხადებითაც, სწორედ ჩოჩელის გუბერნატორობის პერიოდში დამახინჯდა მცხეთის იერსახე ისე, პირველი სატახტო ქალაქი იუნესკოს საფრთხის ქვეშ მყოფ კულტურის ძეგლთა ნუსხაში აღმოჩნდა.

დიმიტრი ხუნდაძე: „ჩოჩელის განუხორციელებელ პროექტებს რაც შეეხება - სვეტიცხოვლის მიმდებარე ნახევარი ჰექტარი მიწის ფართობი, რომელიც მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენდა, 2010 წელს შპს „ქვაჩის“ მფლობელობაში გადავიდა და ავტოსადგომი მოაწყვეს. ჩოჩელის ბიზნესგეგმის ნაწილი იყო, ამ ავტოსადგომის, რომელიც მათი შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა, დიდი გაბარიტების ხიდით (ექვსზოლიანი) ჯვრის მონასტრის ქვემოთ გამავალ ცენტრალურ ავტომაგისტრალთან დაკავშირება. ამგვარი ხიდის აშენება მიუღებელი იყო საპატრიარქოსა და იუნესკოსთვის, ისევე როგორც ახლად აშენებული პოლიციისა და გამგეობის შუშის შენობები, რომელთაც მნიშვნელოვნად დაამახინჯეს ქალაქის იერსახე. მათი მშენებლობა არავისთან შეუთანხმებიათ, მიწის აზომვითი ნახაზებიც კი არასწორადაა გაკეთებული, პოლიციის შენობის ფაქტობრივი განთავსების ადგილსა და ოფიციალურ დოკუმენტში მითითებულ კოორდინატებს შორის ცდომილებაა. ჩვენ ძალიან დიდი მუშაობა დაგვჭირდა იუნესკოს წარმომადგენელთა დასარწმუნებლად, რომ ასეთი უსახური, გაუაზრებელი შენობები და სხვა ნაგებობები აღარ აშენდებოდა და მცხეთა დააბრუნეს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში, თუმცა ჩოჩელი გვპირდება, რომ მაჟორიტარ დეპუტატად არჩევის შემთხვევაში, ხიდსაც ააშენებს და იმ საკანალიზაციო კოლექტორსაც, რომლის მოწყობასაც სვეტიცხოველის სიახლოვეს გეგმავდნენ. ეს უნდა ყოფილიყო ღია ტიპის ნაგებობა (მე მას ღამის ქოთანი დავარქვი), რომელიც სპეციალისტთა შეფასებით, ფუნქციურად გაუმართავი იყო და ამასაც რომ თავი დავანებოთ, როგორ შეიძლება ამ ფუნქციის მატარებელი, თან ღია ნაგებობის სვეტიცხოვლთან განთავსება. ამიტომაც დაბლოკა იუნესკომ ეს პროექტი, ანალოგიური პოზიცია აქვთ საპატრიარქოსა და დარგის სპეციალისტებს. მეუფე ალავერდელმა თავისი სატელევიზიო გამოსვლისას აღნიშნა, რომ ეს არის უგუნური პროექტი, რომელიც საზიანოა მუზეუმის სტატუსის მქონე წმინდა ქალაქისთვის, თუმცა ჩოჩელი ჯიუტად იმეორებს თავისას. მცხეთის საკანალიზაციო კოლექტორის მშენებლობის დაკონსერვებას რომ „დარდობს“, ჯერ „ზედაზენისა“ და „ბარამბოს“ საკანალიზაციო სისტემებს მიხედოს, მათ, ისევე, როგორც „ნატახტარმა“, როცა ჩოჩელის მფლობელობაში იყო, ისე დააბინძურეს იმ ტერიტორიებზე პატარა მდინარეები, რომ თევზს ვინ ჩივის, ქვებმაც კი ფერი შეიცვალა. ჩვენ საპატრიარქოსა და იუნესკოსთან შეთანხმებით, საცალფეხო ხიდის გაკეთებას ვაპირებთ, რომელიც ორ მნიშვნელოვან ტაძარს, სვეტიცხოველსა და ჯვარს ერთმანეთთან დააკავშირებს და მომლოცველებთან ერთად ტურისტებიც ისარგებლებენ. მოგეხსენებათ, ნაცხელისუფლებას სამი „დიდი ხუროთმოძღვარი“ ჰყავდა მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის სახით, რომელთათვისაც სპეციალისტთა აზრი არაფერს ნიშნავდა. ეს ხალხი განსაზღვრავდა შენობა-ნაგებობების ფორმას, შეფერილობას, ადგილმდებარეობას და ა.შ. გუბერნატორი ჩოჩელი კი მათი „დირექტივების“ უსიტყვო შემსრულებელი იყო, მათი „მოღვაწეობის“ შედეგია მცხეთის იერსახის დამახინჯება.

მცხეთის რაიონის მიწები, ვგულისმობ მსხვილ ფართობებს, ჩოჩელის გუბერნატორობის დროს გასხვისდა, როგორ დავიჯერო, რომ მან არაფერი იცოდა რა ხდებოდა, როცა მისი ნებართვის გარეშე ჩიტიც ვერ ფრენდა მთელს რეგიონში. ეს ინფორმაცია მოსახლეობისგან მივიღე, საჯარო რეესტრში რომ გადავამოწმე, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ამ დოკუმენტაციას თქვენც გადმოგცემთ და დარწმუნდებით, რომ დაუსაბუთებელი ფაქტებით არ ვსაუბრობთ. ხსენებული ფართობების მფლობელად სულ რამდენიმე ადამიანი ფიქსირდება, თუმცა ზოგიერთ მათგანს, სხვებზე აქვს გასხვისებული თუ გადამისამართებული. მფლობელთა ნუსხაში ფიგურირებენ ყოფილი გუბერნატორის მოადგილე ელდარ გულბათაშვილი, რომელიც დღესაც გუბერნიის აპარატში მუშაობს, წეროვანისა და მუხრანის ყოფილი გამგებლები და ა.შ. ამ საეჭვოდ გასხვისებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ჯამური რაოდენობა 4-4,5 მილიონ კვადრატულ მეტრს შეადგენს, ასე რომ, რაიონის მოსახლეობა სახნავ-სათესი სავარგულებისა და საძოვრების გარეშე დატოვეს. სოფელ ნიჩბისში დაახლოებით 150 ჰექტარი მიწაა გასხვისებული, რომელსაც ერთი მესაკუთრე ყავს, ვინმე ეკატერინე შველიძე, ჩემი ინფორმაციით, ეს ქალბატონი არ გამოირჩევა ისეთი ფინანსური შესაძლებლობებით, რომ ამდენი მიწის შეძენა შეეძლოს. საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით, ეკატერინე შველიძეს ეს მიწა აუქციონის წესით აქვს შესყიდული

2012 წლის იანვარის დასაწყისში და ოთხი დღის შემდეგ უკვე დარეგისტრირებულიც აქვს. ქალაქ მცხეთაში გასხვისებული 64.384 კვ.მ მიწა (სხვა შედარებით მცირე ფართობებიცაა გასხვისებული, მაგრამ „წვრილმანებზე“ აღარ ვსაუბრობ) 2009 წელს სახელმწიფო მფლობელობაში იყო, 2010 წელს მუნიციპალიტეტის ქონებად ირიცხებოდა, მოგვიანებით შპს „მცხეთა-დვრიმის“ საკუთრებაში გადავიდა, მერე იპოთეკით დაიტვირთა, მფლობელები კვლავ შეიცვალნენ, საბოლოოდ აუქციონის წესით გაიყიდა და „საქართველოს ბანკს“ დარჩა. „ბებრის ციხის“ მოპირდაპირე მხარეს გვინდოდა იუსტიციის სახლის აშენება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს 1000 კვმ ფართობი 2012 წლის იანვარში ვინმე აბრაჰამ კაიზზეა გასხვისებული. მის ერთ-ერთ წინა მფლობელად ეფრაიმ გურიც ფიქსირდება. არსენას ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაც კი გაყიდული ჰქონდათ, მაგრამ საბედნიეროდ დარეგისტრირებული არ იყო და მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის აქტიური დახმარებით შევძელი, რომ ქალაქისთვის დამებრუნებინა, ცოტა მოგვიანებით ამ ტერიტორიას სკვერის სტატუსი მივანიჭეთ, რომ აღარასოდეს

გასხვისდეს. სხვათა შორის, იმ პიროვნების უკან, რომელზეც ეს ტერიტორია იყო გადაფორმებული, მოქმედი მაღალჩინოსნებიც იდგნენ, იმიტომ დამჭირდა ბატონი ირაკლის დახმარება, რომ არა მისი თანადგომა, მარტო მე ვერაფერს გავაწყობდი. წეროვანის მიწები ერთნაირი სქემით არის გასხვისებული, 2009 წელს 173.000 კვ.მ და 40.000 კვმ ფართობები წეროვანის რწმუნებულის ბიძინა ჟიჟიაშვილის მფლობელობაში გადავიდა, საიდანაც მან 4 ჰა 2013 წელს სავარაუდოდ არაბ ფაისალ ტაპერ სირვიტ ალ ისმაილზე გასხვისა. მცხეთის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე, დღეს ჩოჩელის საარჩევნო შტაბის აქტიური წევრი გურამ ანსიანი (საკრებულოს „პროტესტანტი“ წევრების თავკაცი, დიმიტრი ხუნდაძის საწინააღმდეგო ცნობილი სატელევიზიო განცხადების მთავარი ფიგურანტი – მ.ს.) რომელიც ხშირად გვახსენებს, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ვარ, 2012 წელს ამ პარტიის ერთ-ერთი აქტიური სახე ვიყავიო, თუმცა მე მისი „აქტიურობა“ რაღაც არ მახსოვს, 2012 წლის არჩევნებამდე სამი დღით ადრე, აქტიურად იყო დაკავებული წეროვანისა და ქანდის მიწების თავისი ოჯახის წევრებზე გადაფორმებით, რომელიც სიმბოლურ ფასადაა გასხვისებული. მართალია, არც ისეთი „შთამბეჭდავია“ ამ ფართობების ოდენობა, მაგრამ, როცა ხალხი ნაციონალური რეჟიმის თავიდან მოსაშორებლად თავს სწირავდა, ეს „აქტიური“ სახე პირად საქმეებს იგვარებდა“.

როგორც ჩანს, სოფელ მუხრანის ყოფილ გამგებელს ბესიკ ბიჭიაშვილს „მუხრანბატონობაზე“ ჰქონდა პრეტენზია, თორემ მიწების ასეთი „აღებ-მიცემობას“ ალბათ არ გააჩაღებდა. 2008 წელს მის მფლობელობაში არსებული 110.000 კვმ მიწის ფართობი, საგადასახადო გირავნობის გამო სახელმწიფოს მფლობელობაში გადავიდა, შემდეგ ეს მიწა მთლიანადაა გასხვისებული, მესაკუთრედ ვინმე გია ბაინდურაშვილი გვევლინება, მიწა იპოთეკით იტვირთება, რომლის მოქმედებაც 2011 წელს წყდება და საბოლოო მფლობელად შპს ინტელ-აგრო-სერვისი ფიგურირებს. ფაქტობრივად ამ სქემითაა გასხვისებული მუხრანის მიწის სხვა ფართობებიც (117.000 კვმ; 33.000 კვმ; 28.000 კვმ; 47.000 კვმ), მფლობელთა ნუსხა ბესიკ ბიჭიაშვილით იწყება და ინტელ-აგრო-სერვისით მთავრდება, საბოლოოდ ამ შპს-ს მფლობელობაში 335.000 კვმ (33,5 ჰა) მიწის ფართობია გადასული. მუხრანელები სხვა მხრივაც „დაუჩაგრავს“ ნაცხელისუფლებას, ამ სოფელში განსაკუთრებით ყოფილა განვითარებული ხორცპროდუქტების ბიზნესი, აქაურებს აიძულებდნენ ნატახტარის სასაკლაოზე წაეყვანათ პირუტყვი, რაც ზედმეტ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, დროის დაკარგვაზე რომ არაფერი ვთქვათ. ამ სასაკლაოსაც ჩოჩელის სახელს უკავშირებენ, თუმცა იგი „იფიცება“, რომ არანაირი შეხება არ ჰქონია. **სანდო წყაროს ინფორმაციით, სოფელ ქსოვრისის მიწებს ძირითადად ახალგორელები, კერძოდ, ჩოჩელის საახლობლოა დაპატრონებული, ჩოჩელის ძმის ცოლის ინგა ხუციშვილის სახელზე დაახლოებით ასი ჰექტარი მიწა ირიცხება, ეს ქალბატონი სავარაუდოდ ვანო მერაბიშვილის ახლობელიცაა. 34 ჰა-ს თურმე ჩოჩელის ქვისლი თეიმურაზ ბაზუაშვილი ფლობს, 30 ჰა-ზე მეტი მიწის მფლობელი შპს „აგრომეტია“, რომელსაც ეკონომიკის ყოფილ მინისტრს, აწ გარდაცვლილ კახა ბენდუქიძის სახელს უკავშირებენ. წყაროს ცნობით, ეს მიწები გასაყიდად არის გამზადებული და ჩოჩელის მაკლეარები გამალებული დაეძებენ კლიენტებს.**

დიმიტრი ხუნდაძე: „ქსოვრისის მიწებიც ჩოჩელის გუბერნატორობისასაა გასხვისებული, ამ სოფლის ტერიტორიაზეა მისი კუთვნილი კარიერებიც, იქ მომუშავე მძიმეწონიანმა სატვირთოებმა ისე დააზიანეს 2-3 წლის წინ შეკეთებული გზა, რომ მის აღდგენაზე ახლა მილიონნახევარ ლარს ვხარჯავთ. სოფელ ნავდარაანთკარშიც ვინმე ხუციშვილზეა გაფორმებული 60.000 კვმ ფართობი, რომელსაც მართალია, სოციალურად დაუცველის სტატუსი არ აქვს, მაგრამ ეკონომიურად ძალზე უჭირს და ხომ საინტერესოა ამ ადამიანმა როგორ შეძლო იმ ადგილას (საგურამოს სიახლოვეს) 6 ჰექტარის შეძენა, სადაც მიწა ძალზე ძვირი ღირს. სოფელ გალავანში ხსენებული გულბათაშვილი მიწის ორ ფართობს ფლობდა, 2011 წლის მაისში მის სახელზე 133.300 კვმ ფიქსირდება, 35.000 კვმ-ს კი 2009 წლიდან ფლობდა. მის სახელზე სხვა მიწებიცაა გაფორმებული, მაგალითად 350.000 კვ.მ, რომელიც 2011 წლის ივნისში სახელმწიფო საკუთრებაშია გადასული, ორ თვეში კი უპირობო აუქციონის მეშვეობით მფლობელი ილია გზირიშვილი ხდება, რომელმაც რამდენიმე დღეში რომელიღაც შპს-ზე გაასხვისა. გულბათაშვილის დანარჩენი ფართობები შპს „ჯორჯიან ინვესტსა“ და ცეზარ ჩოჩელის „ინტერპლასტზეა“ გასხვისებული. „ინტერპლასტი“ წილკანშიც ფლობდა მიწის მსხვილ ფართობებს, სადაც 2008 წლის ომის შემდეგ დევნილებს აუშენეს სახლები, მერე ეს მიწები ამ კომპანიამ გაცილებით უკეთეს ადგილში გაუცვალა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, თანაც ფართობების დამატებით, არსებობს გაცვლის ხელშეკრულებებიც, რომლებსაც ხელს „ინტერპლასტის“ დირექტორი ყუბანეიშვილი და მცხეთის გამგებელი თემურ აბაშიძე აწერენ ხელს. მერაბიშვილ-ჩოჩელის ტანდემმა დევნილთა ხარჯზე სხვა მხრივაც ისარგებლა, სახელმწიფომ მათი სახლების მშენებლობისთვის საჭირო ხე-ტყე მერაბიშვილის კუთვნილი საწარმოსგან შეისყიდა, ხოლო პლასტმასის მილები და კარფანჯრები ჩოჩელის ქარხნიდან, ერთი სიტყვით, აქტიურად მიმდინარეობდა ფულის „გათეთრება“. იგივე ხდებოდა წეროვანშიც, 221.000 კვმ მიწა, რომელზეც დევნილთა დასახლებაა, ნავდარანთკარის მიწებზეა გაცვლილი ფართობის დამატებით. ნატახტარში სკოლის ტერიტორია, 2 ჰა ფართობი თუ არ ვცდები, გიორგი კორახაშვილზეა გასხვისებული, რომელიც მერაბიშვილსა და ჩოჩელთან დაახლოებული პირია, წილკანში 112.500 კვმ-ს ასევე ჩოჩელის ახლობელი კახაბერ წოწინაშვილი ფლობდა, 2008 წელს ეს მიწა „ინტერპლასტზეა“ გადაფორმებული და უკეთეს ადგილზეა გადაცვლილი. გალავანში 7 ჰა არაბებზე აქვთ გასხვისებული, ზუსტად ანალოგიური ვითარებაა სხვა სოფლებშიც, საგურამო, მსხალდიდი, ზაქარო, ლისი, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და ამ თემაზე სასაუბროდ ერთი გაზეთი არ გვეყოფა“.

- ბატონო დიმიტრი, ტელედებატებისას ჩოჩელს მისი ახალგორის მაჟორიტარობის პერიოდიც გაახსენეთ, თქვენი ამომრჩევლის დასაცავად როდისმე ერთი განცხადება თუ გაგიკეთებიათო.....

- პრეზიდენტმა სააკაშვილმა სამხრეთ ოსეთის ოლქი როცა აღადგინა, მის ტერიტორიას ახალგორიც მიუერთა, თუმცა არავის უკითხავს იქაურებისთვის, ჰქონდათ თუ არა ამის სურვილი. სააკაშვილმა „სტატუსაღდგენილს“ დამატებით სხვა მიწებიც „უფეშქაშა“ და ახლა საოკუპაციო ზოლი ფაქტობრივად, იქ გადის, რომელი საზღვრებიც მან დაუდგინა. ამით წინასწარ გაამზადეს დე-ფაქტო ე.წ. რესპუბლიკა, რომ დე-იურედ გაფორმებულიყო. სწორედ ამიტომ ვკითხე ჩოჩელს, რომელიც სტატუსის აღდგენისა და ტერიტორიების გაფართოების დროს ახალგორის მაჟორიტარი ბრძანდებოდა თუ შეხვდა ადგილობრივებს და მოისმინა მათი აზრი, ან ფრეზეთში ჩასახლებულ ახალგორელ დევნილებს თუ შეხვედრია. მცხეთის რაიონის ეს სოფელი მაღალმთიანი ზონაა, აქედან გამომდინარე, მკაცრი კლიმატური პირობებია, წყლის პრობლემაა, რაიონის ცენტრიდან საკმაოდ დაშორებულია, ერთი სიტყვით, გაუსაძლისი პირობებია. ჩოჩელი თვითონაც ახალგორელია და ამდენი მიწების მფლობელს, არ შეეძლო დაესახლებინა ეს ხალხი უფრო უკეთეს ადგილზე. როდესაც ის სამდღიან უაზრო ომი დასრულდა, რომელსაც მსხვერპლი, ტერიტორიების დაკარგვა და დევნილთა ნაკადი მოჰყვა, გუბერნატორმა ჩოჩელმა ღამით გამოზიდა მთელი თავისი ქონება ახალგორიდან, ამის დრო ჰქონდა? თავის ქონებაზე რომ ზრუნავდა, მოსახლეობა არ უნდა გაეფრთხილებინა და დახმარებოდა? ხალხი იმასაც ამბობს, ჩოჩელმა ახალგორში თავისი სახლი ცხინვალიდან დანიშნულ მილიციის უფროსს დაუთმო, რომ არ გაიქურდოსო. ის არის პოლიტიკურად ხელმოცარული ადამიანი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ეფარება და ამით ცდილობს თავისი წარსულის გადაფარვას. იგი ისედაც არ გამოირჩევა მჭევრმეტყველებით, მაგრამ პასუხებიც არ აქვს, **ჩოჩელის ერთადერთი რესურსი ფულია, რომლის გამოყენებითაც ცდილობს ხალხის მოტყუებასა და მოსყიდვას, მაგრამ არ მგონია, საზოგადოება ისეთი უმეცარი იყოს, რომ მას მიყიდოს თავისი ღირსება საარჩევნო ხმის**

8 გვ.

ცეზარ ჩოჩელი პარლამენტში შესაშვები კაცი არ არის!

7 გვ.

სახით და ჩოჩელმა კვლავ გააგრძელოს მცხეთის მიწების მიზომვა, სახელმწიფო ქონების ჯიბეში ჩადება და ხალხის გაღატაკება. ამას არცერთი მცხეთელი არ დაუშვებს, არც საზოგადოება თუნდაც იმიტომ, რომ მცხეთა მარტო მცხეთელებისა და საქართველოსი კი არა, მთელი საქრისტიანოსია, როგორც მეორე იერუსალიმი. ეს ქვეყანა დახლი არ არის, რომ მცხეთა გასაყიდად შემოდონ ან ჯიბეში ჩაიდონ, თუმცა არის ამის მცდელობა, რასა ცარ დავუშვებ. ჩოჩელი დამოუკიდებელ კანდიდატად კი დარეგისტრირდა, მაგრამ მის საარჩევნო შტაბში რომ შეიხედოთ, ნაცმოძრაობის ყოფილი აქტიური სახეები, მათი მმართველობის დროინდელი რწმუნებულები, გამგებლები, სხვა ყოფილი ჩინოსნები დაგხვდებიან. მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ ოცნების“ გამსვლელ სიაში ვარ, მაჟორიტარად მაინც ვიყრი კენჭს, სხვათა შორის, პარტიულ სიაზე უარი ვთქვი, განცხადებაც დავწერე, მაგრამ მაინც ჩამწერეს, ამიხსნეს, რომ უხერხულია, ერთერთი წარმატებული პროექტის განმახორციელებელი და ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სიაში არ იყოსო. ჩემი მიზანი მარტო პარლამენტში მოხვედრა არ არის, მინდა ხალხისგან პირდაპირ ვიყო არჩეული, მათი ინტერესების დამცველი. ჩემი პრინციპული დამოკიდებულებაა, რომ ცეზარ ჩოჩელი პარლამენტში არ შევუშვა, არ მივცე იმის საშუალება, რომ მცხეთის უკანონოდ გასხვისებულ მიწების რაოდენობა, კიდევ უფრო გაიზარდოს. ეს ადამიანი ცხვრის ტყავში გადაცმული მგელი რომ არის, ამომრჩეველთან შეხვედრისას მისი ნათქვამიც მოწმობს (ეს კადრები იუთუბიზე დევს და შეგიძლიათ ნახოთ), თუკი მასწავლებელს შეუძლია ბავშვს ყური აუწიოს, ციხის ზედამხედველს რატომ არ აქვს უფლება, პატიმარს სცემოსო. როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მცხეთის მიმართ ბატონ ჩოჩელს, „ბებრის ციხეც“ მოწმობს. 2012 წელს იქ პატრიოტთა ბანაკი მოაწყვეს, ციხის შენობაში შეიყვანეს წყალი და ტუალეტი გააკეთეს, მერე ეტყობა წყალს მოშვებულს ტოვებდნენ, ფერდობი გაიჯირჯვა და დაიშალა, რასაც ციხის კედლების ჩამოშლა მოყვა. იქაურობის აღდგენა-რეაბილიტაცია ძალიან ძვირი გვიჯდება, ტერასული გამაგრება მოვუწყვეთ იმ ფერდობს. ასე რომ, ჩოჩელი მცხეთას მხოლოდ მსუყე ლუკმასავით უყურებს.

„საერთო გაზეთის“ ინფორმაციით, თუმცა მის მტკიცებას ვერ დავიწყებთ, ცეზარ ჩოჩელის წარმომადგენლები რაიონის მოსახლეობას, გარდა იმისა, რომ არჩევნებში ხმის მიცემის სანაცვლოდ მის კომპანიებში დასაქმებას პირდება, ხალხს ფულსა და ნარკოტიკებსაც ურიგებენ, განსაკუთრებით დევნილთა დასახლებებშიო.

დიმიტრი ხუნდაძე: „მე ამ ინფორმაციას არ ვფლობ, მაგრამ არ გამიკვირდება, რადგან ნარკოტიკით მოსყიდვა ნაცმოძრაობის სტილია. ჟანდაცვის კომიტეტში კოდეინის შემცველი პრეპარატების იმპორტის ანალიზი გავაკეთე და ამასთან დაკავშირებით, ბრიფინგიც ჩავატარე, 2012 წელს, ე.ი. ზუსტად საარჩევნოდ ქვეყანა 14,5 მილიონი ერთეული კოდეინის შემცველი პრეპარატია შემოტანილი, ეს ის ნივთიერებებია, რომელსაც ე.წ. კრაკადილის, ვინტის და ა.შ. ერთი სიტყვით, იაფფასიანი ნარკოტიკების დასამზადებლად იყენებენ, რომელიც განსაკუთრებით ხელმისაწვდომია დაბალი შემოსავლის მქონე ნარკომომხმარებლებისთვის. მოგეხსენებათ, ეს კატეგორია უფრო მეტია. მას შემდეგ, რაც ჩემი ინიციატივით სარეცეპტო რეფორმა განხორციელდა, ხსენებული ტიპის პრეპარატები რეცეპტს დაუქვემდებარეს, 2014 წელს იმპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ შემოტანილიც არ გაიყიდა ბოლომდე, სამედიცინო მოხმარებისთვის მაქსიმუმ 4500 ერთეულია საჭირო, 2012 წელს კი 14,5 მილიონი შემოიტანეს. ეს იყო წინასაარჩევნოდ ნარკომომხმარებლების გაჯერება, მათი კმაყოფილება და ამ კმაყოფილების ფასად ხმის მიცემა, ეტყობა ახლაც იგივე პრინციპი

მოქმედებს. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მონაცემებით, „კრაკადილის“ მოხმარების შედეგად 55 ადამიანია გარდაცვლილი, 2014 წელს 23, 2015 წელს ამგვარი ფაქტი არ ფიქსირდება, რადგან მოხმარება აღარ იყო. რაც შეეხება სინთეტიკურ ნარკოტიკს, 2013 წელს გარდაცვალების 9 შემთხვევა იყო, 2014 წელს - 21, მაგრამ მატების მიზეზი გამოვლენის გააქტიურებაა, 2015 წელს მხოლოდ ერთი ფაქტი დაფიქსირდა. საარჩევნოდ პრობაციონერთა რაოდენობაც გაზრდილი იყო, 2012 წელს პიკურ მაჩვენებელს მიაღწია (40.000), მოკლედ, ნაციონალები არჩევნებისთვის ხალხის ნარკოტიკებით გაჯერებითა და დაჭერით ემზადებოდნენ. Gაზრდილი იყო სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობაც, 2001 წლის ოქტომბერში, როცა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოსვლის თაობაზე განცხადება გააკეთა, იმ თვიდან არის ზრდა და 2012 წელს ამ კატეგორიის ადამიანების რაოდენობამაც პიკს მიაღწია. ამის შემდეგ კიდევ იყო აღმასვლა (ამ პერიოდში ადგილობრივი მმართველობა ისევ ნაციონალების ხელში იყო – ა.შ.), სოციალურად დაუცველთა რაოდენობამ ნახევარ მილლიონს გადააჭარბა, რაც სპეციალურად გაკეთდა, რომ მთავრობაში მოსული ახალი გუნდისთვის, უფრო მეტი ფინანსური ვალდებულება დაეკისრებინათ, რასაც ბიუჯეტი ცხადია, ვერ გაუძლებდა. როცა ნაციონალების ასე ვთქვათ, საარჩევნო საჩუქრის მოხსნა დაიწყებოდა, ეს ბუნებრივია, ხალხში უკმაყოფილებას გამოიწვევდა, რასაც გარკვეულწილად მიაღწიეს კიდეც, თუმცა ყველაფერი მოგვარდა.

დავუბრუნდეთ მცხეთის თემას, **ეჭვი მაქვს, რომ საპრეზიდენტო ოპოზიციური ნაწილი, რომელიც რაიონის გამგეობასა და საპრეზიდენტოს მუშაობას ხელს უშლიდნენ, ცეზარ ჩოჩელისგან ფინანსდებოდნენ, მათი მიზანი იყო „გაფუჭებული“ საქმეები მაჟორიტარ პარლამენტარს, გამგებელსა და მერს დაბრალებოდა,** ეს ფაქტობრივად სამზადისი იყო, რომ მერე ჩოჩელს „მხსნელის“ მანტიამოსხმულს კენჭი ეყარა. მის რეალურ სახეზე კი ვესაუბრეთ, თუმცა მისგან უშუალოდ დაზარალებული ადამიანები უფრო მეტს გეტყვიან. მიუხედავად ხელის შეშლისა, მაინც შევძელი, რომ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განგვეხორციელებინა, აშენდა სკოლები და ბაგა-ბაღები, ჯანდაცვის პროექტზე ბევრს არ ვისაუბრებ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ 16.000 ადამიანს სერიოზული ოპერაცია დაუფინანსდა, „ც“ ჰეპატიტის მკურნალობის კურსიც უამრავმა ადამიანმა ჩაიტარა. შენდება სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, მალე დამთავრდება კულტურის სახლის მშენებლობა, რაც მცხეთას არ ჰქონდა, მუზეუმის მშენებლობა დაიწყება, ადრინდელი შენობ ჩოჩელის გუბერნატორობის დროს გაიყიდა, ახლა იქ წყალკანალის ოფისია, 25.000 ექსპონატი, სადღაც სარდაფშია ჩაყრილი, ოქტომბერში ახალი საავადმყოფოც იხსნება, სადაც ათ მილიონიანი ინვესტიცია ჩაიდო. რაიონის თითქმის ყველა სოფლისთვის №1 პრობლემა წყალი, მაგრამ ამ კუთხითაც მიდის სამუშაოები დღეს უკვე დაძლევადი პრობლემაა. დევნილებისთვის ორ ათბინიან კორპუსსაც ვაშენებთ, ასე რომ, ძალზე აქტიურია მცხეთა, **მცხეთა არასდროს დაბრუნდება იმ წარსულში, რომელიც კორუფციასთან, მიწებისა და სხვა სახელმწიფო ქონების მიტაცება-გაყიდვასთან ასოცირდება და რომელშიც ნაციონალებმა წლების განმავლობაში აცხოვრეს.** ვიმეორებ, მიუხედავად იმისა, რომ პარტიული სიით პარლამენტში შესვლის ფაქტობრივი გარანტია მაქვს, ეს ჩემთვის არაფერს ნიშნავს, ცეზარ ჩოჩელს მე პარლამენტში არ შევუშვებ, რადგან იქ მისი ადგილი არ არის“.

დიმიტრი ხუნდაძის განცხადებით, ცეზარ ჩოჩელის „არასასურველ“ პირთა სიაში ყაზბეგის, უფრო ზუსტად სტეფანწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი მირიან წიკლაურიც იყო. ბატონი მირიანი საკმაოდ ცნობილი ნერვოპათოლოგია, იგი ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში მუშაობდა, როცა მშობლიურ რაიონს სტუმრობდა პაციენტები აკითხავდნენ, რომელთაც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მკურნალობდა. გუბერნატორ ჩოჩელს, რომელიც საქმის კურსში ყოფილა, რომ მირიან წიკლაური ნაცმოძრაობის მიმართ სიმპათიებით არ იყო განწყობილი, რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი გაუფრთხილებია, თუ წიკლაურს საავადმყოფოს შენობაში კიდევ შეუშვებ, დაგიჭერო. ამავე რაიონის ყოფილ დეპუტატს კი დამუქრებია, შენს შვილს დავიჭერ და ისე მჭიდროდ დავადებ ხელბორკილებს, თითებიდან სისხლი წამოუვიდესო. დროის სიმცირის გამო, სამწუხაროდ ამ ადამიანებთან გასაუბრება ვერ მოვახერხეთ, თუ თავად საჭიროდ ჩათვლიან, აუცილებლად მოვუსმენთ. რაც შეეხება ბიზნესმენ მამუკა აბესაძეს, როცა ჩოჩელმა ვერ დაიყოლია, რომ საგურამოში მიწის ფართობი დაეთმო, გისოსებს მიღმა გაამწესებინა და ცხადია, მიწის „კონფისკაციაც“ მოხდა. ახლა ამ ტერიტორიაზე ჩოჩელის ლუდის ქარხანა „ზედაზენია“ აშენებული. მამუკა აბესაძის ციხეში ყოფნის დროს, მისი შვილის მიმართაც აღუძრავთ სს-ის საქმე, ოღონდ მის მიმართ „ლმობიერება“ გამოუჩენიათ და მხოლოდ პირობითი მსჯავრი აკმარეს. მამუკა აბესაძის სურვილის შემთხვევაში, მის ინტერვიუსაც შემოგთავაზებთ.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 77

დესტაბილიზაციის შესახებ, ანუ მგელი კი არ მოდის, მგელი უკვე მოსულია და სისხლმოწყურებული ჩვენს კარებთან ყმუის

საქართველოს შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ოფიციალურად განაცხადა, გარკვეული პარტიები წინასაარჩევნოდ, არჩევნების მსვლელობისას და არჩევნების შემდეგაც პროვოკაციებს გეგმავენო და იქვე აღნიშნა, რომ უწყება მობილიზებულია, ყველა ძალა და რესურსი აქვს რომ ქვეყანაში დესტაბილიზაციას გასაქანი არ მიეცეს.

ერთადერთი ძალა, ვისაც დესტაბილიზაცია აწყობს, ხელისუფლებაა; ხელისუფლება ცდილობას თავისი შეცდომების გადაფარვას და წინასაარჩევნო ვითარების ხელოვნურად დაძაბვასო; რას ამბობს შს მინისტრი, საიდან მოიგონა, ფაქტები დადოსო, – ისეთმა სუბიექტებმა დაიწყეს ენის მოქავება „ფაქტებზე“, წინა ხელისუფლების დროს სიტყვა „ფაქტი“ გუნებაშიც რომ არ გაუვლიათ, არათუ წამოცდენოდათ. შს მინისტრმა ან უფრო მეტი ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას, ან დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება და მიღებული იქნას ზომებიო, – თავის მხრივ „ვიღაცას“ გამოსძახა „გონს მოსული“ პარტიიდან „გონს მოსულმა“ ერთ-ერთმა პოლიტიკურმა ლიდერმა.

ამას რაღა უნდა, ნეტავ, მეტად რა ინფორმაციის გახმაურებას ითხოვს შს მინისტრის მხრიდან, რა ინფორმაციასაც ფლობს უნდა ჩამოარაკრაკოს? რაც შეეხება გამოძიებას და შესაბამისი ზომების მიღებას, ამის შესახებ განაცხადა სწორედ მინისტრმა და რა თავს იბუეებენ?

ვისაც „ოცნების“ რამე ბოღმა აქვს ჩარჩენილი და არ დაეზარა, ყველამ ერთმანეთისგან გადააკოპირა – „ქართული ოცნება“ აგერ უკვე მეორე არჩევნებია, დესტაბილიზაცია, არეულობასა და ქაოსის შექმნის მცდელობაზე საუბრობსო. ამავე აზრს ანვითარებენ ცალკეული მედია-საშუალებები და რატომაც ჭიკაიძეს იხსენებენ ნაცვლად იმისა, რომ „ნაცმოძრაობა“ ახსოვდეთ, ყველაფერზე წამსვლელი, საქართველოსა და მისი მოსახლეობისთვის ართმული ბიუჯეტით ფინანსურად წელგამყარებული სისხლისმოყვარე ძალა...

კონკრეტულად ვის და რეაქცია ჰქონდა შს მინისტრის სიტყვებზე, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მხოლოდ ნიკა რურუას (მაჟორიტარობის კანდიდატი) კომენტარიდან მცირე ამონარიდია საინტერესო: „პოლიცია უნდა იყოს აპოლიტიკური და მიუკერძოებელი, ამ შემთხვევაში კი, სრულიად საპირისპიროსთან გვაქვს საქმე, რისი უფლებაც არც ერთ მთავრობას არ აქვს. პოლიციაში უამრავი პატრიოტია, დარწმუნებული ვარ, ისინიც არ არიან კმაყოფილი მსგავსი რეალობის არსებობით.“ ალბათ, ამ შემთხვევაზე ითქმის „რატომ ღმერთი არ გაიცინებსო“... და კიდევ, რაზე მიანიშნებს რურუას ბოლო ფრაზა, რომელ „პატრიოტ პოლიციელებს“ გულისხმობს, რომელი კონკრეტული ძალის პატრიოტებს, რას ენართაულება ღიად? მათ ხომ არა, საკუთარი ხალხის ტანჯვა-წამებაში დიდი წვლილი რომ მიუძღვით სწორედ ერთი კაცისადმი „პატრიოტობის“ გამო და თავსმოხვეული მახინჯი კოჰაბიტაციის წყალობით ძველებურად მრავლად და არხეინად არიან სახელმწიფო ძალოვან სტრუქტურებში?

ცალკეული პირები რომ დადასტურებულად ამბობენ, თურქეთიდან, უკრაინიდან და თვით აფხაზეთის ტერიტორიიდანაც კი საქართველოში შემოსულები არიან ჯგუფები სერიოზული არეულობის მოსაწყობადო, ერთგვარად გვერდზე გადავდოთ. უპირველესად ის ვიკითხოთ, ვინც ძალიან აყვირდა და ხელების სავსავი დაიწყო, რა დესტაბილიზციაზეა საუბარიო, რა ნესტარმა უჩხვლიტა, ნეტავ, თვით ხომ არ არიან ქვეყანაში ქაოსის შექმნის მთლად ინიციატორები თუ არა, დიდად მოსურნეები მაინც?

შს მინისტრმა ოპოზიციურ პარტიებს შესთავაზა მიაწოდონ მოსახლეობასთან შეხვედრის გრაფიკი, რათა პოლიციის გარკვეული ძალა იცავდეს ყველას თანაბრად და არ დაუშვას არანაირი სახის დაპირისპირება პარტიებსა თუ ცალკეულ პირებს შორის – ეს წინასაარჩევნოდ. ცუდია? რა არ მოეწონათ? ფაქტია, რომ თუ ვინმეს აქვს ინტერესი შეინარჩუნოს სტაბილურობა, უპირველესად ეს არის ხელისუფლება, არა მხოლოდ ახლა და „ოცნება“, არამედ ყველა ქვეყანაში და ყველა ხელისუფლების დროს.

ვირთხას აქვს თვისება – გაურბის სერიოზულ საფრთხეს, მაგრამ თუ გასაქცევი არ აქვს და კუთხეში მიიმწყვდია სიტუაციამ, თავდასხმაზე გადადის. ვირთხა ვერ საზღვრავს წინსწრებით რამდენიმე სვლას, მაგრამ ადამიანები საზღვრავენ და ვაი, თუ „სისხლზე წასვლა“ ჩაიდო სისხლისმოყვარე მავანთა გეგმაში, მითუმეტეს, რომ მათ წინააღმდეგ 300 000 გამწარებული ადამიანი და სულ მცირე ორი ამდენივე მათი ოჯახის წევრია, რომლებიც პატარა ნაპერწკალზე შურისმაძიებლებად გადაიქცევიან – ეს კი, კატასტროფა იქნება!

ვისაც არ ახსოვს, ახლაც შეუძლია იხილოს „იუთუბიზე“ ატვირთული ძებნილი (ვითომ) მიხეილ სააკაშვილისა და „რუსთავი-2-ის“ გენერალური დირექტორის (ურცხვი „რეჟისორისა“ და ნაპროკურორალის) ნიკა გვარამიას საუბარი „რევოლუციურ სცენარზე“ (09.23 30-102015). ანუ პირი, რომელიც „თავისუალი სიტყვისა და თავისუფალი მედიის“ დამცველის სახით ევლინება ვიღაცებს, ფაქტობრივად, ოდესიდან მოკარნახე ძებნილის მითითებული დავალებების აღმასრულებელი დირექტორია და შესაბამისად, თავის მხრივ პოლიტიკური პროცესების მმართველად გვევლინება. „მცირედი სისხლი“ რომ ფეხმძიმე ქალის მკვლელობა უნდა ყოფილიყო და ამაზე აეგორებინათ „რევოლუცია“, დიდად არც გაკვირვებია ვინმეს – ყოფილ ხელისუფლებას ხომ უყვარდა „გვამებით“ საუბარი და რა გადააყვარებდა? ამ „სცენართან“ მოსატანი აღარა გიგი უგულავას ასევე „რევოლუციური წერილი“ საპატიმროდან, რომელიც წინ უსწრებდა დროში და ფაქტობრივად, „ნაციონალების“ გეგმებს ააშკარავებდა.

სხვათაშორის, ოპოზიციური პარტიები წინასწრებით აცხადებენ, რომ თუ არჩევნები მათთვის სასურველი შედეგით არ დასრულდება, აქციებს მოაწყობენ, არადა, ყველასთვის სასურველი შედეგით როგორ უნდა დასრულდეს, მითუმეტეს, რომ ყველაზე მაჩანჩალა პარტიაც კი იმას აცხადებს, მეორე სერიოზული პოლიტიკური ძალა მე ვიქნებიო. ერთიცაა, ამ დანაქადილის შესრულება, რეალურად ისევ მხოლოდ „ნაცმოძრაობას“ შეუძლია, რადგან მას აქვს მსგავსი „დომხალის“ შექმნისთვის საჭირო ფინანსებიც, ადამიანური რესურსიც და ძალზე შემცირებული, მაგრამ მაინც მხარდაჭერა გაღმა-გამოღმა დაინტერესებული ცალკეული ლობისტებისგან.

ამბობენ, რომ ინფორმაციამ უცხოელი მეგობრებისგან გამოჟონა – 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ „ნაცებისა“ და მათთან დაკავშირებული რევანშისტული ძალების მხრიდან გადაწყვეტილია და იგეგმება ე.წ „თბილისური მაიდნის“ მოწყობა, რისთვისაც უკვე მოძიებული და გამოყოფილია 200 მლნ აშშ დოლარი. ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად აუცილებელია და ფაქტობრივად, უმთავრესია, ძალოვან უწყებებში ისეთი ხალხის არსებობა, რომლებიც ნიშნის მიცემისთანავე რევანშისტების მხარეს გადავლენ (მოტივი – დასავლური ღირებულებებისკენ სწრაფვის დაცვა) და უარს იტყვის კონსტიტუციური წესრიგის დაცვაზე. თანხა გამოყოფილია სააკაშვილის გარემოცვის, კონკრეტულად, დავით კეზერაშვილის მიერ და ამ საქმეში, როგორც კოორდინატორი, აქტიურად არის ჩართული სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია; სტრატეგიას და ტაქტიკას ადგენს ზურაბ ადეიშვილი; ამ საქმეში ჩართულები არიან უცხოელებიც „ლობისტების“ ჩათვლით.

და განა, გასაკვირი იქნება?

კონკრეტულად „ნაციონალებს“ ხელისუფლებაში მოხვედრისთვის ხომ მხოლოდ ერთადერთი გზა აქვთ, კვლავ ძალადობა, რაც, გარდა იმისა, რომ აპრობილებული აქვთ და მათი სულიერი მოთხოვნილებაცაა, შემგულიანებელი კი აქვე ჰყავთ, ოდესაში.

„ნაციონალური მოძრაობის“ პირადი ტელევიზიის, „რუსთავი-2-ის“ მეშვეობით (გვარამია რომ თავისად აცხადებს) თითქმის ყოველი კვირისთავზე გამოდის სხვა ქვეყნის მოქალაქე, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ოფიციალურად ძებნილი პირი, ფართო მასშტაბის გულღრძო მავნებელი მიხეილ სააკაშვილი და აგულიანებს არა ერთ თავისნაირს: „ვბრუნდები საქართველოში!“ „მალე ჩამოვალ!“ „ოქტომბერში საქართველოში ვიქნები!“ „ჩემს ვენახში ძაან მინდა დაბრუნება. მე იმედი მაქვს, რომ სპეციალურად დამელოდებიან რთველზე, მანამდე არ მოკრეფენ. არა უშავს, თუ ცოტათი ადრე მოხდა რთველი, დამელოდებიან. ასე რომ, წელს კახეთში რთველს ჩავატარებ და დავწურავ ყურძენს“, – რა თქმა უნდა, ამ სიტყვების უკან „რაღაც“ ძალა (ვითომ რომ არ ვიცით, ის ძალა) და კონკრეტული გეგმა იმალება (ვითომ იმალება), თორემ, საინტერესოა, რანაირად აპირებს ზებნილი პირი ჩამოსვლას, როცა ოფიციალურად უთვლიან და შიშისგან ჰაერსღა აფუჭებს, ვერ ჩამოდის?

გია ვოლსკი საუბრობს სააკაშვილის განზრახვაზე, მოახდინოს სახელმწიფო გადატრიალება და ასახელებს სააკაშვილის მიერ „ფორბსთან“ მიცემულ ინტერვიუსა და „რუსთავი-2-ისთვის“ მიცემულ ინტერვიუებს, საიდანაც მხოლოდ ერთი აზრი იკითხება – არსებული ხელისუფლების დასრულება!

როგორ უნდა დასრულდეს რომელიმე ხელისუფლება კანონიერად, თუ ამომრჩეველი კვლავ ნდობას გამოუცხადებს? როგორ ასრულებს „ნაციონალური მოძრაობის“ თავკაცი „ოცნების“ ხელისუფლებას, როცა მათი პარტიის სახელის ხსენებაზე ამომრჩეველს მხოლოდ ცემა, წამება, გაუპატიურება, მკვლელობები, შიგნეულობაამოცლილი გვამები და გამქრალი ადამიანები აგონდება? რა საშუალების პოვნაზე მეტყველებს უცხო ქვეყნის მოქალაქე, ძებნილი სააკაშვილი, რომელიც რაღაც გათვლებით არჩევნების შემდეგ საქართველოში ბრუნდება?

ახლა, ამა წლის აგვისტოში შექმნილი რაღაც ახალგაზრდული გაერთიანება „საქართველოს ერთგულების სახელით“ გამოჩნდა, რომელიც პრემიერმა კვირიკაშვილმა „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კავშირში დაადანაშაულა. გაერთიანების წევრებმა კატეგორიულად უარჰყვეს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ რაიმე კავშირი. ფიცი მწამს, ბოლო – მაკვირვებსო! – გაერთიანების მიერ ორი დღის წინ გამართულ ბრიფინგზე „მწარე ნაციონალის“ ჩიორა თაქთაქიშვილის მეუღლემ ამოყვინთა, რა თქმა უნდა, მანაც სასტიკად უარჰყო, რომ გაერთიანებას არანაირი კავშირი არ აქვს „ნაცმოძრაობასთან“. კვლავ ფიცი მწამს, ბოლო – მაკვირვებს! ერთმანეთთან კავშირს უარყოფენ, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ ცენტრალურ ოფისთან ამ ორგანიზაციის მაისურში გამოწყობილი ახალგაზრდები გამოჩდნენ. აღმოჩნდა, რომ „ნაციონალებს“ ამ ორგანიზაციის სახით მხარდამჭერები ჰყავთ.

კონკრეტულ გეგმას არავინ არავის დაუდებს წინ და რაც ხელისგულზეა, ამაზე მეტი რაღა ფაქტები უნდა ვისაც უნდა?

გიორგი ჩხეიძე

გოგი თოფაძე:

ამჯერად, სასამართლოში სარჩელს მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებისთვის შევიტანთ

„ნაციონალურ მოძრაობას მართლა რომ დაგვიანებოდა, თანაც შვიდი წუთი კი არა, შვიდი საათი, ცესკო საბუთებსაც მიიღებდა და ფიანდაზადაც დაეგებოდა..“

„საერთო გაზეთის“ სტუმარია „მრეწველები, ჩვენი საშობლოს“ ლიდერი გოგი თოფაძე.

— ვფიქრობ, ყველასთვის ნათელია, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნება“ დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს და დანარჩენ 5-6 პარტიას ზღვარის გადალახვისთვის მოუწევს ბრძოლა. შესაბამისად, პარტიებს შორის მაღალი კონკურენციაა და ჩვენი გზიდან ჩამოცილება ბევრს სურს, მაგრამ ცესკოში იმდენად უნაკლო დოკუმენტაცია წარვადგინეთ, რომ ამის გაკეთება ვერ მოახერხეს. მივყვეთ მოვლენებს ქრონოლოგიურად.. რვა სექტემბერს 5 საათსა და 24 წუთზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რეგისტრაციისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი ჩავაბარეთ, მათ შორის, 120 კაცის საარჩევნო სია. როცა ამ მოცულობის საბუთებზეა საუბარი, ისეთი ხარვეზები, როგორიცაა ქსეროქსით გადაღებულ პირადობის მოწმობაზე მკრთალად გამოჩენილი ნომერი და ა.შ. ჩვეულებრივი ამბავია. ხარვეზების გასწორებისთვის 4 დღე გვქონდა, მაგრამ დრო რომ არ დაგვეკარგა, წარდგენილი საბუთებიც დავუტოვეთ, ის მცირე ხარვეზებიც გავასწორეთ და 6 საათი და 7 წუთი იყო, როცა ახალი საბუთები ცესკოში მივიტანეთ.

— **საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების გადაწყვეტილებაში ცესკო განმარტავს, რომ თქვენს ბლოკს რეგისტრაციისთვის შესაბამისი პარტიული სია დადგენილ ვადებში არ წარუდგენია.**

— ასე არ არის. ჩვენი საარჩევნო კომისიაში მისვლის დროს, იქ რესპუბლიკური პარტიისა და ნაცმოძრაობის რამდენიმე წარმომადგენელი იმყოფებოდა. ისე მოხდა, რომ კომისიის წარმომადგენელს ჩვენი საბუთები დაეფანტა და აკრიფა. ეს ვიდეოკამერებშიც და ფოტოზეც ჩანს. არ ვიცი, ყველა ვერ აკრიფეს თუ რა მოხდა, მაგრამ ამის შემდეგ, გამოგვიცხადეს, თქვენი საბუთი სრულყოფილი არ არის, თანაც 7 წუთი დაიგვიანეთ და საბუთებს ველარ მივიღებთო. ამაზე ერთი ამბავი ავტეხეთ, რას ქვია, საბუთი არ არის, როცა ყველაფერი ჩაბარებული გვაქვს და დოკუმენტების მიღებაზე ხელი მოწერილი გაქვთ თქო, მაგრამ ვერაფერი გავაწყეთ. იმავე დღეს, ანუ რვა სექტემბერს, საღამოს რვა 8 საათზე თამარ ჟვანიამ ტელევიზიით განაცხადა, რომ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციისთვის საბუთები 29 პარტიამ შეიტანა. მათ შორის, რეგისტრაცია მხოლოდ ერთმა- „ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ“ ვერ გაიარაო. ანუ დაადასტურა, რომ ჩვენ საბუთები ყველა წესის დაცვით შევიტანეთ. ჩვენს მაჟოროტარებსაც დაუგზავნეს შეტყობინებები, რომ ყველაფერი ჩაბარებულია. მეორე დილას ანუ 9 სექტემბერს გამოაცხადეს. გუშინდელი სიებში შეცდომა გაიპარა და „თოფაძე-მრეწველებმა“რეგისტრაცია ვერ გაიარესო. ამის მერე რა უნდა გვექნა? რა თქმა უნდა, სასამართლოს მივმართეთ და ცესკოს იმ გადაწყვეტილების გაუქმება მოვითხოვეთ, რომლითაც რეგისტრაციაზე უარი გვეთქვა.

— **სასამართლომ თქვენი სარჩელი დააკმაყოფილა, მაგრამ შესაძლოა, საარჩევნო კომისიამ სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციოში გაასაჩივროს.**

— საბუთები იმდენად მოწესრიგებული გვქონდა, რომ სხვა გადაწყვეტილებას არც ველოდით. რაც შეეხება აპელაციას, მეეჭვება, ასე მოხდეს, იმდენად ნათელია, რომ ყველაფერი დროზე გვაქვს ჩაბარებული. სასამართლო პროცესი 7 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა და მოსამართლემ ცესკოს წარმომადგენლებს პირდაპირ უთხრა, დოკუმენტზე ხელი გაქვთ მოწერილი და რა გაქვთ სალაპარაკოო. ამათმა — ვინც ხელი მოაწერაო, დავსჯითო. წარმოგიდგენიათ? ვინც საბუთი დამალა, იმას კი არა, ვინც ხელი მოაწერა, იმას დავსჯითო. სასამართლოზე პირდაპირ ვუთხარი 1985 წლის პრაქტიკას იყენებთ, მაგრამ ასეთ რაღაცეებს მოქალაქეთა კავშირი თქვენზე უფრო დახვეწილად ახერხებდა თქო. არ ვიცი, რა ვიფიქრო, როცა ცენტრალური საარჩევნო კომისიაში საბუთი იკარგება და თავმჯდომარე ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს. იმას, რაც ამ დღეებში ცესკოს თავმჯდომარემ და მისმა თანამშრომლებმა იკადრეს, სხვანაირი შესწავლა უნდა, მაგრამ ამის დრო ნამდვილად აღარ გვაქვს. ისედაც შვიდი დღე მოგვაცდინეს. ხალხთან შეხვედრებზე ველარ მივდიოდით, რადგან ჩვენმა ამომრჩეველმა ვერ გაიგო, ვიყავით არჩევნებზე დარეგისტრირებული თუ არა. სწორედ ამის გამო, სასამართლოში სარჩელს ამჯერად მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებისთვის შევიტანთ. ნაციონალურ მოძრაობას მართლა რომ დაგვიანებოდა, თანაც შვიდი წუთი კი არა, შვიდი საათი, ცესკო საბუთებსაც მიიღებდა და ფიანდაზადაც დაეგებოდა, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, ყველაფერი სხვანაირად მოხდა.

— **თქვენი აზრით, რატომ უნდა იყვნენ გავლენიანი ამერიკული ორგანიზაციები თქვენი ბლოკის პარლამენტის გარეთ დარჩენით დაინტერესებული?**

— მიუხედავად იმისა, რომ 1999 წლიდან მოყოლებული, ყველა არჩევნებში ზღვარი გადავლახეთ, **NDI** და **IRI** ყველა კვლევაში ნულებს გვიწერდნენ. ჩვენ 2004 წელსაც მოვახერხეთ 7%-იანი ზღვარის გადალახვა და პარლამენტში შესვლა, როდესაც საკაშვილი ერთპარტიულ პარლამენტს ითხოვდა და ზემოთხსენებული ორგანიზაციები კვლევებში ნულოვანი რეიტინგს გვიწერდნენ. ბოლო დროს, საერთოდ აღარ გვახსენებენ, თითქოს არც ვარსებობთ. გასაგებია, რომ ჩვენი პროქართული პოზიცია „გულზე არ ეხატებათ“ და არც ის მოწონთ, რომ მათი დირექტივებით ცხოვრება არ გვინდა.

— **მედიასთან შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა, რომ პარტია „მრეწველებს“ აშკარად პრორუსული კვალი ეტყობა და შესაბამისად, მის ფავორიტებში არ მოიაზრება. ამაზე რას იტყვით?**

— ბატონ ბიძინას არა ერთხელ შევხვედრილვარ და გვილაპარაკია, ამიტომ არ ვიცი, ასეთი განცხადება რატომ გააკეთა. ჩემთვის ის საქართველოს პატრიოტია, რომელმაც თავისი ბიზნესი მიატოვა, ჩამოვიდა და დიდი უბედურებისგან გვიხსნა. მე არ მეგულება სხვა ქართველი, ვინც ამის გაკეთებას შეძლებდა. რაც შეეხება ჩვენს პრორუსულობას, რაც ფეხზე დავდექი, ჩემთვის ჩემი ქვეყნის ინტერესები ყველაფერზე მეტია. ამიტომ, ვფიქრობ, რომ აგრესორს, რომელსაც მსოფლიოზე უდიდესი გავლენა აქვს, მუშტების ქნევით არ უნდა ველაპარაკოთ. ყველამ ვნახეთ, რომ რამდენჯერაც ნატოში შესვლაზე და მაპის მოცემაზე ლაპარაკი დავიწყეთ, იმდენჯერ საზღვარი ნახევარი კილომეტრით გადმოგვიწია. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გავიგოთ, ჩვენთვის რა ჯობია, ვლანძღოთ თუ ჩვენი ბრძენი წინაპრების მსგავსად, დიპლომატიური ენით ველაპარაკოთ? მით უმეტეს, რომ პუტინის და ლავროვის ბოლოდროინდელი გამოსვლები დიალოგისთვის მზადყოფნას გამოხატავს. თუ ვიღაცისთვის პროქართულობა ეროვნული თავმოყვარეობის დაკარგვას ნიშნავს, მე ასე არ ვფიქრობ და თავმოყვარეობა მელახება, როცა ევროკავშირის თუ სხვა დასავლური სტრუქტურების წარმომადგენელი თითქის ქნევით მელაპარაკება. ჩვენ გვაქვს ჩვენი კულტურა, ტრადიციები, რწმენა და ბევრი რამ, რითაც შეგვიძლია ვიამაყოთ.

— **ქვეყნის ორიენტაციისგან განსხვავებით, თქვენი და ბიძინა ივანიშვილის პოზიციები ქვეყნის პრეზიდენტთან დაკავშირებით, მგონი ერთმანეთს ემთხვევა..**

— დიდი ბოდიში ბატონ ბიძინასთან, მაგრამ პრეზიდენტი მისი ყველაზე დიდი შეცდომაა. მისი მხარდაჭერის გარეშე, მარგველაშვილი ასი კანდიდატიდან 99-ე ადგილსაც ვერ აიღებდა და ეს თავადაც მშვენივრად იცის. მიუხედავად იმისა, რომ ამის გამო ბევრმა გამაკრიტიკა, ჩემს აზრზე ვრჩები და მიმაჩნია, რომ გიორგი მარგველაშვილი ის კაცი არაა, ვინც ამ ქვეყანას უნდა მართავდეს.

— **თითქმის ერთადერთ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენთ, რომელიც „ქართული ოცნების“ კოალიციიდან გამოსვლის შემდეგ, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, კოალიციის დამაარსებელს არასოდეს აკრიტიკებს. რატომ?**

— იმიტომ, რომ ქართველი კაცი და ქვეყნის პატრიოტი იმ ადამიანის კრიტიკით არ უნდა იყოს დაკავებული, რომელმაც ქვეყანას უბედურება მოაცილა. ბიძინა ივანიშვილი რომ პოლიტიკაში გამოჩნდა, მოსახლეობის 12% ციხეში იჯდა. როცა მის გარშემო გავერთიანდით, იმაზე ფიქრის დრო არ იყო, ვის რა პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდა. თანდათან გამოჩნდა, რომ ვიღაცეები თავიანთი კოსმოპოლიტური იდეებით ჩვენთვის მიუღებელ პოზიციაზე იდგნენ. ამას ემატებოდა ჩვენი მისამართით, თინა ხიდაშელის და ზოგადად, „რესპუბლიკელების“უტაქტო გამოსვლები. ამის შემდეგ დავფიქრდით, რომ ასეთი განსხვავებული პოზიციის მქონე პოლიტიკური ძალების ერთ კოალიციაში ყოფნა შეუძლებელია. გადავწყვიტეთ, განსხვავებული პოზიციის მქონე ძალებს გავმიჯნოდით და 2016 წელს გავერთიანებულიყავით პატრიოტულ ძალებთან, რომლებიც უცხოეთიდან არ ფინანსდებიან და უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციების კარნახით არ მოქმედებენ. ჩვენ არ მოგვწონს, როცა მოსახლეობას ატყუებენ და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში შეყვანას პირდებიან, როდესაც აპატურაიმ და „ნატოს“ რამდენიმე გენერალმა პირდაპირ თქვა, ვერ მიგიღებთ იმიტომ, რომ აგრესიული მეზობლისგან ვერ დაგიცავთო. ჩვენ არ მოგვწონს, როდესაც ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებისკენ მოგვიწოდებენ, რადგან კავკასიელები ვართ და ვერასოდეს მოვიწონებთ, რომ ქორწინების სახლიდან ერთმანეთზე დაქორწინებული ახალგაზრდა ბიჭები ხვევნა-კოცნით გამოვიდნენ. მე ვიყავი იმ კომისიაში, რომელმაც რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით ნახევარი მილიონი ხმა დააგროვა. ეს რეფერენდუმი იმისთვისაა აუცილებელი, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინება საქართველოში ვერასოდეს ვერ დაკანონდეს.

ნელი თორდია
571 35 36 88

თვითონ „შავები“ და შავბნელი ავაზაკები მერის წინააღმდეგ შავ პიარს აგორებენ?

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ თბილისის ამჟამინდელმა მერმა, დავით ნარმანიამ უმძიმესი მემკვიდრეობა მიიღო, ენატლიკინა უსაქმური ჟურნალისტი მერის, გიგი უგულავასაგან, რომელსაც ხელმძღვანელ მუშაკებად, ოფიციანტები და მუსიკოსები ჰყავდა დანიშნული. შერჩევის ნიშანი კი ერთადერთი, მისდამი ერთგულება და მისი მითითებების უსიტყვო შესრულება იყო, ხოლო ყველაფერი დანარჩენი მეორეხარისხოვანი. მის მიერ შერჩეულმა ასეთმა არაკომპეტენტურმა კადრებმა, რა უქნეს და რას დაამსგავსეს თბილისი, ამას ყველა ჩვენთაგანი ნათლად ხედავს. რა უქნეს გმირთა მოედანს, რას ჰგავს აკადემ-ქალაქი, სადაც შენობები ისეა ერთმანეთს ჩახუტებული, იქ გავლისას სიმჭიდროვისაგან კაცს სული შეგეხუთება. ამ

კაცმა თბილისი გადაჭამა, რაც დაუთვალეს და ნახეს 55 მილიონი იყო მითვისებული, თუ არამიზნობრივად გახარჯული კარგად აღარ მახსოვს, მაგრამ მაინც დემაგოგობს, „დამნაშავე არა ვარ, პოლიტიკური ნიშნით დამიჭირეს და ბიძინა ივანიშვილის პირადი პატიმარი ვარო“. მოკლედ უნამუსობას საზღვარი არ აქვს. არანაკლები მილიონები შესანსლა მისმა მოადგილე ალავიძემ, მაგრამ რა? 300 000 გირაოს სანაცვლოდ გამოუშვა ახალმა მთავრობამ. ამ კაცმა მარტო ჩემს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე, ჩემი თანხმობის გარეშე, ძალადობრივი გზით ააშენა 8 მეტრი სიმაღლის საყრდენი კედელი და სკვერი მოაწყო, ყოველგვარი ტენდერის გარეშე ერთ პირთან მოლაპარაკების გზით. ამასთან არამიზნობრივად გახარჯა და წყალში გადაყარა ხალხის მიერ ბიუჯეტში შეტანილი 361 ათასი ლარი. ეს ფაქტი იმიტომ გავიხსენე, რომ ზუსტად მისი გირაოთი განთავისუფლების წინა დღეს, თუ არ ვცდები 2014 წ. 26 ივლისს დააკავეს ქობულეთის გამგებელი, რომელსაც ბრალად წაუყენეს ქალაქის ფასადის გასალამაზებლად ტენდერის გარეშე გახარჯული 107000 ლარი. პირდაპირ საკვირველია ჩვენი პროკურატურის საქციელი, ამ კაცმა, მართალია ტენდერი არ ჩაუტარებია, მაგრამ თანხა მიზნობრივად მაინც დახარჯა. ალავიძემ კი 4-ჯერ მეტი თანხა დახარჯა არამიზნობრივად, თანაც ტენდერის გარეშე. ასეთ კაცს უშვებ და მისი მეათედ დანაშაულში შემჩნეულს იჭერ, ეს როგორი სამართალია ვერაფრით გამიგია. აღნიშნულის შესახებ რამდენჯერ მივწერე პროკურატურას მაგრამ პასუხი ჯერაც არ მიმიღია. ვინმემ დათვალა, რამდენი ხე მოჭრეს აკადემქალაქის ამ მონაკვეთზე? რატომ მაშინ არ იღებდა ხმას ქ-ბნი ნატა და აქციებს არ აწყობდა? მაგრამ მაშინ უგულავას ძუძუ ჰქონდა პირში ჩადებული და, როგორც ამბობენ, ბარაქიანადაც წოვდაო. რაც შეეხება ფერაძის აქციებს, ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე პირდაპირ ეტყობა, რომ ვიღაცის მართულია. კერძოდ მისი, ვისაც არეულობა და ქვეყნაში დესტაბილიზაცია აწყობს. თუ ვინაა ასეთი ძალა, ამას მკითხველი ადვილად მიხვდება. ჯერ ერთი, როგორც ირკვევა ეს ტერიტორია კერძო საკუთრებაა და მისი პატრონი, როგორც უნდა ისე მოიქცევა თავის საკუთრებას. შენ რომ ფერაძე ხარ, და დიდის ამბით თავს წარმოაჩენ ქალაქის პატრიოტად, და მისი დაცვით თურმე ღამეები არ გძინავს, (მეტი შენ რა გითხარი) სად იყავი მაშინ როცა ეს ტერიტორია გასხვისდა და სხვის კერძოსაკუთრებაში გადავიდა? რა, ნარმანიამ გაასახვისა და უგულავასავით იქედან წილი აიღო? მთელი თბილისი ლაპარაკობდა ნებისმიერი მაღლივი შენობის ბოლო ორი სართული უგულავასიაო. უგულავამ მთელი პლეხანოვი და რუსთაველი გააშიშვლა, ასობით ასწლოვანი ჭადრის ხეები მოჭრეს და ხმა არ ამოგიღიათ, ახლა კიდევ ამ დაავადებულ 45 ხეს ქვეყანა გადააყოლეთ. ამ კაცმა, რამდენი ქალაქისათვის სასიკეთო საქმე წამოიწყო, იმდენი საბოტაჟის, წინააღმდეგობებისა და ათასი ცილისწამებების ბარიერული გადალახვა მოუხდა. ნარმანიას თავისი მერობის პერიოდში სულ რომ არაფერი გაეკეთებინა, თავისუფლების მოედნიდან პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობა რომ აღადგინა, მარტო ეს ეყოფა თავის მოსაწონებლად. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე თბილისის მოსახლეობის თითქმის 80%, გაწამებული იყვნენ კოლმეურნეობის მოედნამდე მგზავრობით. ამ მონაკვეთზე საავტომობილო გზის აღდგენით კი დაისვენა და შვებით ამოისუნთქა დიღმის, დიდუბის საბურთალოს, ვაკის, მთაწმინდა-ვერის, სოლოლაკის, კოჯორის, ოქროყანის, შინდისის, ტაბახმელასა და წყნეთის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობამ. აღარაფერს ვამბობ იმ გადატვირთული მონაკვეთის საცობებისაგან გათავისუფლებასა და ათასობით მძღოლის შემსუბუქებულ მდგომარეობაზე. ხომ გახსოვთ, რა ამბავი ატყდა ამ პროექტის განხორციელების დასაწყისში. რაღა არ დააბრალეს ნარმანიას, ლამის ქართველი ხალხისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მტრად გამოაცხადეს. უგულავას რომ ხალხი და მათი აზრი ფეხებზე ეკიდა, სასტუმრო „აჭარის“ გასხვისების მაგალითიდანაც კარგად ჩანს. ვიღაც გაბღენძილი მილიონერის გულისთვის, ამ სასტუმროს მეპატრონეს მთელი 26 მაისის სახელობის მოედანიც უფეშქაშეს და ცენტრალური გზა გადაკეტეს. ამდენი ხნის მანძილზე მთელი ტრანსპორტის ნაკადი დანიური სახლისა და ამავე სასტუმროს უკანა მხარეს მდებარე ვიწრო ქუჩით გაედინება, და სანამ პეკინის ქუჩაზე გახვალ, არის ერთი ვაიუშველებელი და უგულავას დედის ხსენება არცთუ ეთიკურ ფორმებში. სად იყავი მაშინ ქალბატონო ნატა? როცა სპორტის სასახლის წინ, წითელი ქვიშით მოპირკეთებულ სკვერში „მაგდონალდსის“ ობიექტი ააშენეს და პირწმინდად გაანადგურეს მწვანე საფარი, მაშინ რატომ არ ამოიღეთ ხმა? როცა რესტორან „არაგვის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ასობით მრავალწლოვანი მწვანე ნარგავები გაჩეხეს და იქაურობა გააუკაცრიელეს, მაშინ სად იყავი? მაგრამ მაშინ უგულავას ძუძუ ისე მყარად გეჭირა კბილებით, პირი რომ გაგეღო, ძუძუ ხომ პირიდან გაგეშვებოდა და მშიერი დარჩებოდი. მარტო ნარმანიას ეყო ვაჟკაცობა და ეს „აჭარის“ გაბღენძილი მესაკუთრე ცოტა შეაჯანჯღარა, მოედნის რაღაც ნაწილი მაინც დაათმობინა და იმ მონაკვეთზე ტრანსპორტის მოძრაობა ცოტა გაუმჯობესდა.

მე დავით ნარმანიას კი არ ვიცავ, მხოლოდ სიმართლეს ვამბობ და ვწერ, თანაც არა ვინმესაგან გაგონილს, არამედ უშუალოდ განცდილსა და ნახულს. ამ 14 წლის მანძილზე უგულავასა და მისი ხროვის მიერ იმდენი უსამართლობა და ძალადობაა ჩადენილი ჩემს მიმართ, ტომებს გაავსებდა. დავით ნარმანია კორუმპირებული და გამომძალველი რომ არ არის, ყველამ იცის. თუმცა ბევრმა არ იცის, რომ ნარმანიას მერობის დროს უამრავი საქმე გაკეთდა თბილისში. ერთ პატარა მაგალითს მოვიყვან: ზუსტად 40 წელია რაც სიმონ ჩიქოვანის (ხილიანის) ქუჩაზე ვცხოვრობ. რაც ვერეს ხეობაში ახალი ტრასა გაიყვანეს მთელი მოძრაობა ჩიქოვანის ქუჩაზე გადმოვიდა. ალბათ ყველა თბილისელ მძღოლს მწარედ ახსოვს ამ ქუჩის ყველაზე ვიწრო მონაკვეთი №24 სახლთან, სუპერმარკეტ “ხილიანის” წინ. სადაც პიკის საათებში გაჩხერილი ავტომობილებიდან, ყოველ დილით და საღამოს იყო ერთი ვაიუშველებელი, გინება და ბევრი მაღალჩინოსნის დედის ხსენება არც თუ დადებით კონტექსტში. რამდენიმე ხნის წინ, ზუსტად ასე მივწერებ-ნ ნარმანიას უბრალო ცალხაზიან ფურცელზე ორიოდ სიტყვით, ფოტოსურათიც თან დავურთე და გზის გამტარუნარიანობის გაუმჯობესების გეგმაც შევთავაზე. კაცმა ყურად იღო ჩემი თხოვნა და ის მონაკვეთი ჩემი გეგმის თანახმად შეძლებისდაგვარად გააფართოვეს. მოძრაობა იმდენად გაუმჯობესდა რომ ძველთან შედარებაც არ შეიძლება. ხალხიც კმაყოფილია და მძღოლებიც. ამასთან, რაც მთავარია, ნარმანიას სიყოჩაღეს უწონებენ, ხოლო უშუალო შემსრულებელს, საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილე კახაბერ გავაშელს მარჯვენას ულოცავენ.

ომარ გოცაძე
555 33 55 36.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება

პრემიერის შეხვედრა ქედის მოსახლეობასთან

საქართველო გახდება მართლაც თანამედროვე ქვეყანა, სადაც ყველა ოჯახში მივა კეთილდღეობა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა ქედის მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა, სადაც „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები პარლამენტსა და აჭარის უმაღლეს საბჭოში – ანზორ ბოლქვაძე და ხვიჩა შარაშიძე წარადგინა.

პრემიერმა გასული ოთხი წლის განმავლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე დეტალურად ისაუბრა, ასევე განსაკუთრებით აღნიშნა კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, რომელიც მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მასწავლებლებისთვის, ექიმებისთვის, ექთნებისთვის დაკერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის შეღავათებს ითვალისწინებს.

„ჩვენს ზოგიერთ ოპონენტს, რომელმაც არ დაუჭირა მხარი მთის კანონს, ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს მორალური უფლება, რომ თუნდაც აჭარის მაღალმთიანეთში ითხოვოს მხარდაჭერა“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, მომავალი 4 წელი, განვითარების გეგმებით გაცილებით საინტერესო და დატვირთული იქნება. როგორც „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ აღნიშნა, ფუნდამენტური რეფორმები იგეგმება, განათლების სისტემაში, მმართველობასა და ინფრასტრუქტურაში.

„პედაგოგი საქართველოში უნდა იყოს გაცილებით უფრო დაფასებული. მაშინ, როდესაც საქართველოს ძალიან უჭირდა, როდესაც ბავშვები მთიან რეგიონებში, სოფლიდან სოფლად ფეხით მიდიოდნენ სკოლაში, ჩვენი მასწავლებლები, თავიან მოწაფეებთან ერთად, აი ამ გაჭირვებში უზრუნველყოფდნენ განათლების უწყვეტობას. არ შეიძლება, მათ ეს არ დავუფასოთ. სწორედ ამიტომ, ჩვენ დავნიშნეთ მაღალმთიან სოფლებში ავტობუსები, რათა ბავშვებმა ფეხით აღარ იარონ სკოლებში. სწორედ ამიტომ, ჩვენ, მომავალი წლიდან, ვზრდით მასწავლებლის ხელფასს და საშუალო ხელფასი 800 ლარი გახდება საქართველოში. სწორედ ამიტომ, ჩვენ გადავსინჯავთ უმაღლესი განათლების პრიორიტეტებს და ჩვენი ახალგაზრდები აღარ ისწავლიან იმ პროფესიების მიმართულებით, რომლებიც ნაკლებად საჭიროა და შეისწავლიან იმ პროფესიებს, რომლებიც უფრო მეტად არის საჭირო საქართველოში“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს ფიზიკური რეალობის შემცვლელ პროგრამას უწოდებს მთავრობის მეთაური ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომელთა განხორციელება მომავალი ოთხი წლის განმავლობაში იგეგმება. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ამ პერიოდში, ყველა მნიშვნელოვანი მაგისტრალი, როგორც ავტობანები, ასევე ტურისტული და რეგიონებთან დამაკავშირებელი გზები დასრულდება. პრემიერის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში იწყება ხულო-ადიგენის გზის მშენებლობა; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება ბათუმიდან აჭარის მაღალმთიანეთთან დამაკავშირებელელი გზაც; ასევე, აქტიურად გაგრძელდება გაზიფიცირებისა და წყალმომარაგების პროექტები.

გიორგი კვირიკაშვილის შეხვედრა შუახევის მოსახლეობასთან

ოთხი წლის თავზე ჩვენ გვექნება ფიზიკურად, თვისობრივად, ხარისხობრივად სხვა საქართველო, აბსოლუტურად განვითარებული, თანამედროვე ინფრასტრუქტურით, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა შუახევის მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა, სადაც „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები პარლამენტსა და აჭარის უმაღლეს საბჭოში – ანზორ ბოლქვაძე და ხვიჩა შარაშიძე წარადგინა.

მთავრობის მეთაურმა მოსახლეობას სამომავლო გეგმები გააცნო და აღნიშნა, რომ გასული 4 წლის განმავლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა ქვეყანაში თავისუფლება მოიტანა. „ჩვენ არავის ვაძალებთ ამა თუ იმ პროექტის გაკეთებას და ეს თავისუფლება აუცილებლად მოიტანს ძალიან დიდ შედეგს საქართველოში, იმიტომ, რომ ჩვენ, ქართველები, შინაგანად თავისუფალი ხალხი ვართ, ღირსებით აღსავსე ხალხი ვართ და ვერავინ ვერასოდეს ვეღარ მოინდომებს, ფეხქვეშ გათელოს ეს ღირსება და თავისუფლება, რომელიც ბრძოლით არის მოპოვებული“, – განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილმა ისაუბრა სახელმწიფო პროგრამებზე, რომელიც ყველა ოჯახში კეთილდღეობის შეტანას ისახავს მიზნად და აღნიშნა, რომ რეგიონში ინფრასტრუქტურული, გაზიფიცირებისა და წყალმომარაგების სამუშაოები, ასევე, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა გაგრძელდება.

„მთელი საქართველოს მასშტაბით იქნება ძალიან აქტიური განვითარების ოთხი წელი. მინდა, გითხრათ, რომ ყველა თქვენგანის მოამაგე ვართ – თქვენი დარდის, სიხარულის გულთან ახლოს მიმტანი ვართ. მინდა, მუსლიმებს მივულოცო ბაირამის დღესასწაული რომელიც სულ მალე იქნება. მინდა, გისურვოთ დღეგრძელობა, ჯანმრთელობა, ოჯახებში სიმშვიდე, ხვავი და ბარაქა“, – მიმართა პრემიერმა შუახევის მოსახლეობას.

შეხვედრა ხულოს მოსახლეობასთან

საქართველოს არ აქვს იმის რესურსი, იყოს გათითოკაცებული, გახლეჩილი, ერთმანეთთან დაპირისპირებული, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ და ერთ მუშტად შევიკრათ, – ამის სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა ხულოს მოსახლეობას, რომელსაც „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები პარლამენტსა და აჭარის უმაღლეს საბჭოში – ანზორ ბოლქვაძე და ხვიჩა შარაშიძე წარადგინა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, საქართველო აღარ უნდა დაბრუნდეს წარსულში, უნდა წავიდეს მხოლოდ წინ და ამის გარანტიას, უალტერნატივოდ, „ქართული ოცნება“ იძლევა. „არც ერთი ადამიანის ღირსებაზე არ გადავივლით და გავაერთიანებთ ჩვენს საზოგადოებას, მათ შორის მათაც, ვინც შეიძლება დღეს გზააბნეული იყოს, იმიტომ, რომ საქართველოს არ აქვს იმის რესურსი, იყოს გათითოკაცებული, გახლეჩილი, ერთმანეთთან დაპირისპირებული“, – განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილმა ისაუბრა მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმაზე, რომელიც სერიოზული წინსვლისა და ეკონომიკური გარღვევის მომტანი იქნება. გასული ოთხი წლის უმთავრეს მონაპოვრად კი პრემიერ-მინისტრმა ადამიანის ღირსება და თავისუფლება დაასახელა.

„დღეს ადამიანის ღირსება არის ის უზენაესი, რომელსაც ჩვენ ხელის გულზე ციმ-ციმ ვატარებთ და რომელიც ჩვენთვის ყველაზე გასაფრთხილებელია. საქართველოში აღარასოდეს უნდა მობრუნდეს ის პერიოდი, როცა უდანაშაულო ადამიანებს იჭერდნენ, ბიზნესმენებს აიძულებდნენ სხვადასხვა პროექტის გაკეთებას, ოჯახის წევრებს უჭერდნენ. რა თქმა უნდა, წარსულში იყო დადებითი მომენტებიც და ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო ბევრი უარყოფითიც. ჩვენ უნდადავინახოთ კარგიც და ცუდიც. ჩვენ არ ვართ არაობიექტურები, ჩვენ ყოველთვის სიმართლე უნდა ვუთხრათ ჩვენს მოქალაქეებს და სიმართლე არის ერთი, რომ 2012-მა წელმა საქართველოში შეცვალა პოლიტიკური ამინდი. დღეს გაცილებით უფრო თავისუფალია ქართველი ხალხი.დღეს ტელევიზიებს არავინ ერჩის, წერენ და

გადმოსცემენ, რაც მათ სურთ. ხშირად არის უსამართლო, ხშირად არის დამახინჯებული რეალობა, მაგრამ ჩვენ ასეთი ქვეყანა გვინდა. ჩვენ გვინდა თავისუფალი ქვეყანა. დაწმუნებული ვართ, ქართველ ხალხს გააჩნია იმის შინაგანი ძალა და ენერგია, რომ ასეთი თავისუფლებით მიაღწიოს ყველაზე კარგ შედეგს – განავითაროს ჩვენი ქვეყანა და მოუტანოს უკეთესი მომავალი ჩვენს მომავალ თაობას“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. პრემიერმა განათლების სისტემის ძირეულ რეფორმასა და პედაგოგების დაფასების აუცილებლობაზე ისაუბრა. მისი თქმით, 2017 წლიდან, პედაგოგის საშუალო ხელფასი 800 ლარი გახდება, რისთვისაც გათვალისწინებულია 60 მილიონი ლარის ოდენობის დამატებითი დაფინანსება.

„ქუთაისში დაიწყო საქართველოსთვის უპრეცენდენტო მასშტაბის უმაღლესი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობა, რომელიც 60 000 სტუდენტზე იქნება გათვლილი და საქართველოში მთლიანად შეცვლის ამინდს. ჩვენ კიდევ უფრო უნდა წავახალისოთ ბიზნესი და 2017 წლის 1-ლი იანვრიდან, მოგების გადასახადი აღარ იქნება, თუ მოგება დივიდენდის სახით არ გადანაწილდა. თუ მოგება იქნება ჩაბრუნებული ბიზნესის განვითარებაში, ის მოგების გადასახადით არ დაიბეგრება“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ვალერი გელაშვილი ამომრჩევლებთან შეხვედრებს განაგრძობს

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ვალერი გელაშვილი წინასაარჩევნო კომპანიის ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის, ბრილის, ალის და ბროლოსანის მოსახლეობას შეხვდა. მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ამომრჩევლებს „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამა გააცნო და სამომავლო გეგმებზე დეტალურად ისაუბრა. როგორც ვალერი გელაშვილმა აღნიშნა, საქართველოს მთავრობამ ოთხი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა. ამომრჩევლები მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს სოფლის პრობლემების შესახებ ესაუბრნენ და მათი მოგვარება სთხოვეს.

ილია წულაია ამომრჩევლებს ხვდება

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს” მაჟორიტარობის კანდიდატმა ილია წულაიამ დიდუბის რაიონის გამგეობის უფასო კვების სასადილოები მოინახულა. გაესაუბრა ბენეფიციარებს, დაინტერესდა სასადილოების მუშაობის პირობებით.

„ჩვენ საკანონმდებლო ორგანოში უნდა შევიმუშავოთ პირველ რიგში ისეთი დახვეწილი კანონები, რომლებიც სოციალურად დაუცველ,ან გაჭირვებულ ადამიანებს ერთის მხრივ გაუადვილებს ყოფას, მეორესმხრივ მათ რაოდენობას შეამცირებას ქვეყანაში, სწორი სოციალური პოლიტიკით, შესაბამისი სოციალური პაკეტების მომზადებით ჩვენ მალე გვექნება საზოგადოება, სადაც გაჭრივების ზღვარს მიღმა მცხოვრები ადამიანები თითქმის არ გვეყოლება. წარმატებული სახელწიფოს შენება პირველ რიგში ასეთ ადამიანების გაჭირვებიდან ამოყვანით იწყება“, - განაცხადა ილია წულაიამ.

შოთა ხაბარელი მოსახლეობასთან შეხვედრებს განარძობს

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სამგორის რაიონის მე-13 ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, შოთა ხაბარელი მოსახლეობასთან შეხვედრებს განარძობს.

საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, იგი ლილოს დასახლებაში, მე-4 კვარტლის მოსახლეობას შეხვდა. დეპუტატობის კანდიდატმა შეკრებილ მოსახლეობასთან სოციალურ პროგრამებზე, სოფლის მეურნეობაში არსებულ პროექტებზე, პროფესიულ განათლებაზე, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე, მთავრობის მიერ განხორციელებულ ჩ ჰეპატიტის მკურნალობის პროექტის მნიშვნელობასა და შედეგებზე, ასევე სხვა აქტუალურ თემებზე ისაუბრა. დღევანდელ შეხვედრაზე მოსახლეობის ძირითადი დაინტერესების საგანს კორპუსებთან მისასვლელ გზებზე გარე განათების დაყენება და უმუშევრობა წარმოადგენდა.

დეპუტატობის კანდიდატმა პირადად მოისმინა შეხვედრაზე მისული ბავშვების თხოვნა, რომლებსაც ფეხბურთის მოედნის მოწყობა სურდათ.

„ჩემთვის მნიშვნელოვანია თითეული თქვენთაგანის აზრის გაგება, ჩვენი ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი თითოეულ მოქალაქეზე ზრუნვაა, თქვენი არცერთი პრობლემა არ დარჩება ყურადღების გარეშე“,- განაცხადა დეპუტატობის კანდიდატმა.

გოჩა ენუქიძე ამომრჩევლებთან შეხვედრებს განაგრძობს

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ რაჭის, ლეჩხუმისა და სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გოჩა ენუქიძე მულახის, ლატალისა და ლენჯერის თემის მოსახლეობას შეხვდა, სადაც 39 სოფელი შედის. მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა შეხვედრის მონაწილეებს „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამა გააცნო. როგორც გოჩა ენუქიძემ აღნიშნა, გასული ოთხი წლის განმავლობაში სოფლების უმეტესობაში „სოფლის მხარდაჭერით პროგრამით“ წყალმომარაგების ცენტრალური სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა. „დასრულდა უშგულის წყალმომარაგების სისტემის ახალი პროექტი, „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში დაფინანსდა საოჯახო ტიპის სასტუმროები, ამავე პროგრამით დაფინანსდა ზემო-სვანეთში მეფუტკრეობის განვითარება, გაიხსნა რამდენიმე სამკერვალო და სახელოსნო. რამდენიმე ბენეფიციარმა ტურისტებისთვის კოტეჯები ააშენა. ეს მხოლოდ დასაწყისია. მომავალი ოთხი წლის განმავლობაში სოფლების განვითარება გაგრძელდება. მთის კურორტ თეთნულდის განვითარება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების დიდ შანსს გვაძლევს“, – განაცხადა გოჩა ენუქიძემ. როგორც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა აღნიშნა, ადგილობრივი მოსახლეობისგან დიდ მხარდაჭერას გრძნობს. „ეს მაძლევს დიდი სტიმულს და იმედს, რომ 8 ოქტომბერს ერთად გავიმარჯვებთ, ერთად დავძლევთ ყველა პრობლემას. ძალიან საპასუხისმგებლო საქმეს შევეჭიდე, ამიტომ ყველა სოფელში მისვლა და თითოეულ ადამიანთან შეხვედრა აუცილებელია“, – განაცხადა გოჩა ენუქიძემ.

დიმიტრი ხუნდაძე ოპონენტის შესახებ

„ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა დიმიტრი ხუნდაძემ ცეზარ ჩოჩელის მიერ საარჩევნო პერიოდში გადარიცხული თანხების შესახებ დოკუმენტები გაასაჯაროვა. როგორც დიმიტრის ხუნდაძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ცეზარ ჩოჩელი 37-ე ოლქში დამოუკიდებელ მაჟორიტარად 2016 წლის 15 აგვისტოს დარეგისტრირდა. ამ დროისათვის ცეზარ ჩოჩელი წარმოადგენდა სააქციო საზოგადოება „ქართული ლუდის კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, ანუ მმართველი ორგანოს უმაღლეს პირს. ამ კომპანიამ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოს საჯარო სკოლას 2016 წლის 17 აგვისტოს ფინანსური მხარდაჭერის სახით გადაურიცხა 12 145 ლარი. „ეს გადარიცხვა მოხდა მას შემდეგ, რაც ცეზარ ჩოჩელი უკვე დარეგისტირირებული იყო მაჟორიტარობის კანდიდატად. მსურს მივმართო უწყებათაშორის კომისიას, ყველა საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებელს, შეისწავლონ ეს ფაქტი და გააკეთონ დასკვნა“,-აღნიშნა დიმიტრი ხუნდაძემ. მისივე თქმით, ქალაქ მცხეთასა და მცხეთის რაიონში 29 სკოლა და 21 საბავშვო ბაღია, თუმცა გასული ოთხი წლის განმავლობაში ცეზარ ჩოჩელს და მის კომპანიებს არც ერთი თეთრი არ აქვთ ქველმოქმედების სახით გადარიცხული არც სკოლებში და არც ბაღებში. „ჩვენ ოთხი წლის განმავლობაში ვაშენებთ და ვარემონტებთ სკოლებს, ბაღებს. თუკი ვინმე სახელმწიფოს გვერდით დაუდგებოდა, უარს ნამდვილად არ ვეტყოდით, მაგრამ ცეზარ ჩოჩელს ქველმოქმედება მცხეთაში მხოლოდ საარჩევნოდ ახსენდება, როდესაც ხმების მიღება სურს დეპუტატობისთვის“,- განაცცადა ხუნდაძემ. ასევე, ხუნდაძის ინფორმაციით, 2015 წელს ახალგორიდან დევნილი ბავშვები მიემგზავრებოდნენ საერთაშორისო ფესტივალზე ესპანეთში, მათ სამგზავრო თანხაზე დასამატებლად 2000 ლარი თხოვეს ცეზარ ჩოჩელს, მაგრამ უარი მიიღეს. „ამ ბავშვების გამგზავრება ესპანეთში ჩემი და კულტურის მინისტრის დახმარებით სრულად დაფინანსდა. დევნილმა ბავშვებმა ამ ფესტივალზე მთავარი პრიზი აიღეს. რაც შეეხება ცეზარ ჩოჩელის საარჩევნო ქველმოქმედებას, კიდევ ერთხელ მივმართავ უწყებათაშორის კომისიას და საერთაშორისო დამკვირვებლებს, გამოიძიონ საგურამოს სკოლის ფინანსური მხარდაჭერის საკითხი. რაც შეეხება ჩოჩელის ეგრეთ წოდებულ ქველმოქმედებას, მინდა განვაცხადო, რომ მცხეთელები ამით არ მოტყუვდებინა“,-აღნიშნა მცხეთაში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატმა, დიმიტრი ხუნდაძემ.

გურამ მაჭარაშვილმა „ქართული ოცნების“ პროგრამა მოსახლეობას გააცნო

პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ლაგოდეხსა და ყვარელში გურამ მაჭარაშვილი, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს.

დეპუტატობის კანდიდატი ამჯერად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლების – ბაისუბნისა და ჩადუნიანის მოსახლეობას შეხვდა და „ქართული ოცნების“ პროგრამა გააცნო. ამასთან, მაჭარაშვილი მოქალაქეებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღებისა და ახალი ბაზრების ათვისების პერსპექტივაზე ესაუბრა. თავის მხრივ, ადგილობრივებმა ყურადღება გაამახვილეს გაზიფიცირებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის პრობლემაზე. ამასთან დაკავშირებით ითქვა, რომ 2017 წლის დასასრულს მუნიციპალიტეტის სოფლების 90 % გაზიფიცირებული იქნება, ხოლო ბაისუბნის ამორტიზებული გზის რეაბილიტაციის პროექტი უკვე მომზადებულია და აუცილებლად განხორციელდება.

®

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

(გაგრძელება. დასაწყისი „საერთო გაზეთი #15)

1975 წელს ჟურნალ „Техника молодёжи“ №6 გამოქვეყნდა მრავალი წლის განმავლობაში გაუშიფრავი ტაბულა, რომელიც მადრიდიდან გამოგზავნა მეცნიერებათა დოქტორმა მანუელ დე დრანგიმ. ტექსტის შესახებ ინგლისელმა პროფესორმა ჟეკობ ჰარისონმა განაცხადა, რომ ორ ათეულ წელზე მეტი იმუშავა მასზე, გამოიჩინა დიდი სიჯიუტე და ცნობისმოყვარეობა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია, ვერ გაშიფრა. სამ თვეში თბილისელმა ინჟინერმა შოთა ხვედელიძემ ჟურნალს გაუგზავნა ძველი ქართულ-იბერიული დამწერლობის განვითარების შედარებითი ტაბულა, რომლის სრული ტექსტი გამოქვეყნდა ჟურნალში.

აკადემიკოსი ა. ა. ბელოპლედევსკი წერდა, რომ ხვედელიძის ჰიპოთეზა, რომელიც უტყუარად დასტურდება, რამდენიმე საუკუნით, სულ მცირე 3479 წლით უკან გადაწევს ქართული დამწერლობის საწყის ისტორიას და ჩვენ შეხედულებებს უძველესი ხმელთაშუაზღვისეულ და კავკასიური (ქართული) ცივილიზაციის ურთიერთობების საკითხებშიო.

შოთა ხვედელიძემ ტექსტი აალაპარკა, რომლის მიხედვით: – დაახლოებით ძვ. წ. XV საუკუნეში საქართველოში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელიც იწინასწარმეტყველა ქართველ ტომთა ბელადმა როიმ; რომ მიწისძვრის მოლოდინში, მთაში ყვავილი ფურისულა ყვავილობას წყვეტს და კვდება; როიმ ხალხს მოუწოდა დაეტოვებინათ ტერიტორია (საქართველო). 400 000-ზე მეტმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა და გაემართნენ მზის ჩასვლის მიმართულებით. ისინი დასახლდნენ შემდგომში ბასკეთად წოდებულ ტერიტორიაზე, კართაგენსა და კორსიკაში, პირინეის მთების კალთებზე და ბისკაის ყურის ნაპირზე...

მაშასადამე, 3479 წელს უნდა დაემატოს ჰეროდოტეს, ეპიფანესა და სხვა სწავლულთა მიერ ნათქვამი „უწინ კოლხებს დამწერლობა ჰქონდათ“, „უწინ“ ანუ „ადრე, ძველად“, იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ვერ აკონკრეტებენ, ათვლა შეუძლებელია მათთვის. ჰეროდოტე ცხოვრობდა ძვ. წ V საუკუნეში, ანუ კოლხებს, სულ მცირე 7300-7500 წლის წინათ უკვე ჰქონიათ დამწერლობა!

რა თქმა უნდა, ბევრს ვისმეს არ „აწყობდა“ და არ „აწყობს“ საქართველოს ისტორიის გასწორება, ამდენად, ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ხვედელიძის გაშიფრულ ტექსტზე მუშაობა დასრულებულიყო, ფაქტობრივად, მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტი ჩააგდეს. რაც შეეხება შოთა ხვედელიძეს, რომელიც საკმაოდ მხნედ და ჯანმრთელად გრძნობდა თავს, ტაბულის გაშიფვრიდან მალევე გარდაიცვალა და ამ საქმით აღარავინ დაინტერესებულა...

(შოთა ხვედელიძე ამტკიცებდა, რომ ატლანტიდა კავკასიის ტერიტორიაზე მდებარეობდა და ის ბერძნებმა გააყალბეს, სხვანაირად გადმოსცეს, მითები შეთხზეს; შავი და კასპიის ზღვები ადრე ერთიანი იყო და ჩრდილო კავკასიას ესაზღვრებოდა)

პირუთვნელი მეცნიერები, განურჩევლად ეროვნებისა და ქვეყნისა, წყარო-მასალების მიხედვით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ კოლხეთს თურმე 40 000 წელზე (400 საუკუნე) მეტი ხნის არსებობისა და სახელმწიფოებრიობის ისტორია ჰქონია.

ვინაიდან მასალები არ გვინახავს, არ ვიცით რა წერია მასში და ვერ ვიტყვით რამდენად სარწმუნოა, თუმცა როგორც ხმა არის გავრცელებული, არსებობს და სამ პირად არის შენახული სანდო ადამიანებთან. Mასლები მემკვიდრეობით აქვს მფლობელს მიღებული მშობლებისგან და არის ორი სხვადასხვა რუსი მეცნიერის ნაშრომი, რომელიც განადგურებას გადაურჩა როგორც რუსი შოვინისტების მხრიდან, ისე მათ აყოლილ ქართველ საბჭოთა „ვაიმეცნიერებს“.

განადგურებით კი, დადასტურებულად განადგურებულია, მაგალითად XX საუკუნის (1904 წ) დასაწყისში ვასილ ველიჩკოს წიგნი „კავკასიას“ მე-2 ნაწილი. წიგნი 2009 წელს გამოქვეყნდა პრესაში სათაურით „ამის დაკარგვის ან დავიწყების უფლება არც რუსს აქვს და არც ქართველს“. წერილი იწყება შესავლით: – „1904 წელს, ამ წიგნის ავტორის, ვასილ ველიჩკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემამ ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდვაჭარმა გულბეკიანმა იმ დროისთვის ზღაპრული თანხა, 5 მლნ ფუნტი სტერლინგი გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდვიდან ამოეღოთ და გაენადგურებინათ, მაგრამ ვერაფერს გახდა. თუმცა, სომხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიჩკოს მთლიანი ნაშრომის მხოლოდ პირველი ტომი, მე-2 ტომი საერთოდ აღარ გამოსულა და ჩვენი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომხებმა.“

დაახლოებით ერთი თვის უკან სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გავრცელდა ინფორმაცია რომ ისტორიკოსმა ზეინაბ ბუაჩიძემ საგანგაშო ფაქტი გამოავლინა – 2012 წელს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ დაბეჭდილ „ქართველის ცხოვრებაში“ (ტომი I მე-11 გვ ბოლოს წინა აბზაცი) ჩამატებულია ფრაზა, რომლის მიხედვითაც გამოდის, რომ კავკასიელთა, თარგამოსის შთამომავალთა ენა ყოფილა სომხური. ჩამატებული წინადადება ასეთია „და ამათ ყოველთა იყო ერთი ენაი – სომხური.“

ზეინაბ ბუაჩიძე: – „სულაკაურის გამოცემა შევადარე 1955 წელს სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემას (პირველი ტომის მე-6 გვერდი). ვერც ამ და ვერც სხვა აკადემიურ გამოცემაში მსგავს ფრაზას ვერ ნახავთ. მეტსაც გეტყვით – მე-11 საუკუნეში „ქართვლის ცხოვრება“ სომხურად ითარგმნა და მსგავს ფრაზას ვერც ამ თარგმანში ნახავთ. დილით სულაკაურის გამომცემლობაში დავრეკე, ჩემი ვინაობა ვუთხარი. პასუხად მომიგეს 2012-ში გამოცემული „ქართვლის ცხოვრების“ რედაქტორი ჩვენთან აღარ მუშაობს, გავარკვევთ და დაგიკავშირდებითო, მაგრამ ჯერ არ დაურეკავთ. გაოგნებული ვარ. ეს არის დანაშაული ერის წინაშე. ამაზე ხმა უნდა ამოიღოს ყველა ქართველმა.“

მერამდენედ გამახსენდა სულგანათლებული კლიმენტი შელია, როდემდე უნდა ამოვიდნენ ქართველი ვაი-ისტორიკოსები გაყალბებული „ქართლის ცხოვრებიდანო“...

და ამოიღო ხმა ამჯერად სხვა ისტორიკოსმა – ეს ფრაზა ეკუთვნის ლეონტი მროველს და შედის „ქართლის ცხოვრების“ ყველა რედაქციაშიო; ჟურნალისტებმა კი, თავი დაანებეთ „დამნაშავეების“ ძებნას და როცა რაიმე საკითხზე წერას გადაწყვეტთ, კეთილი ინებეთ და წიგნები წაიკითხეთო.

...და ვკითხულობთ ცნობილი რუსი არქეოლოგის ევგენი კრუპნოვის მიერ სიმონ ჯანაშიასადმი მიწერილი წერილიდან ამონარიდს, რომელიც სთხოვს დახმარებას სახელმძღვანელო წიგნის, „საქართველოს ისტორიის“ შეძენაში: – „ღრმად პატივცემულო სიმონ ნიკოლოზის ძევ! ვკადნიერდები გარემოებათა გამო და მოგმართვათ დაჟინებული თხოვნით, არ მითხრათ უარი მადლის ქმნაში, – გასცეთ განკარგულება, დაზღვევით გამომიგზავნონ წიგნი „საქართველოს ისტორია“ რუსულ ენაზე.

მთელი წლის განმავლობაში (1946 წლის აპრილიდან) ჩემი ყველა მცდელობა, შემეძინა ეს წიგნი, ამაო აღმოჩნდა, არადა, ჩემი მდგომარეობა (კავკასიის მკვლევარისა) მავალდებულებს, ვიცნობდე ყველა მიღწევასა და ბოლო სიტყვას კავკასიის ისტორიის შესწავლაში, ანუ ზუსტად ვიცოდე ის, რაც ასე უხვადაა წარმოდგენილი თქვენს სახელმძღვანელოში, რომელიც თავისი სულისკვეთებითა და მნიშვნელობით ყოველგვარ შედარებაზე მაღლა დგას.“ წერილი დაწერილია 1947 წლის 29 იანვარს. ქ. მოსკოვი.

აი, ასეთი შედევრი-სახელმძღვანელო ბოლო გამოცემიდან ორიოდე წელში ისე „ძველდება“, რომ ასაკრძალი და ახლიდან გამოსაცემი ხდება. 1958 წელს გამოდის ახალი „საქართველოს ისტორია“ ნიკოლოზ ბერძენიშვილის რედაქციით.

ამ დიდი სახელმძღვანელოს აკრძალვის ნამდვილ მიზეზზე პასუხს მოსკოვის აკრძალული და მოსკოვისავე მოწონებული პრინციპული მონაკვეთის შედარებაც კი იძლევა.

ორივე სახელმძღვანელოს ბოლოში დართული აქვს ქრონოლოგიური სია. აკრძალულში მას „უმნიშვნელოვანესი თარიღების ტაბულა“ ეწოდება, მოწონებულში – „საქართველოს ისტორიის ძირითადი თარიღები“;

(გაგრძელება იქნება)

პოლიტიკის მთავარი მეზარბაზნეები

ნაცმოძრაობის იარაღი იყო და არის პროპაგანდა- რომელსაც წარმატებით იყენებდნენ საუკუნეების წინ და დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. ჩვენამდე ის კიდევ უფრო მეტად დახვეწილი სახით მოვიდა და ყველა სფერო დაიპყრო. პოლიტიკის მთავარი მეზარბაზნის როლს დამსახურებულად ინარჩუნებს დღემდე და ამაყად განაგრძობს მედიის დახმარებით ტვინის გამორეცხვით საქმიანობას, შედეგიც შესაშური აქვს... პროპაგანდას აქვს თავისი ლოგიკა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მას ცვალოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები მისი შინაგანი მიზნებიდან გამომდინარე, რომლებსაც შესაძლოა რეალობასთან არაფერი ჰქონდეს საერთო. პროპაგანდა ომისა და მშვიდობის პირობებში სხვადასხვა მოდელებს იყენებს.

ყველაზე ცნობილი მოდელი, რომელსაც კონფლიქტის შემთხვევაში ამოქმედებენ, მუშაობს კონფლიქტის მონაწილეთა სახელების შეცვლით: გმირი, მტერი, მსხვერპლი. გმირი ებრძვის

მტერს, რათა იხსნას მსხვერპლი. ყოველი მხარე ამ ფორმულაში სვამს თავის გმირის, რათა მტერს დარჩეს მტრის/ბოროტმოქმედის პოზიცია. სწორედ ასეთ შემთხვევაში ხდება ომი სამართლიანი. ნებისმიერი ხანგრძლივი ომი ითხოვს მხარდაჭერას შიდა ფრონტზე, ამიტომაც ეს ფორმულა ყოველთვის მოქმედებაშია.

პროპაგანდა, რომელიც მუშაობს ემოციურ რეაქციებთან, ბლოკავს რაციონალურ აზროვნებას. ემოციები გამოიწვევა თითქმის ავტომატურ საფუძველზე, რადგან ეს ადამიანის რეაგირების სხვა დონეა, სადაც აზროვნება არ მუშაობს. ემოციური რეაქციის ობიექტები მკაფიოდ არის ცნობილი პირველი მსოფლიო ომის დროიდან, როდესაც პროპაგანდამ პირველად მიიღო "ინდუსტრიული" ფორმები.

სიმბოლოები, რომლებსაც პროპაგანდა იყენებს, შეუძლებელია ჟღერდეს როგორც სიკეთე ან ბოროტება, როგორც სამოთხე ან ჯოჯოხეთი. ისინი ყოველთვის მიიღებენ უფრო კონკრეტულ ფორმებს. მაგალითად, ხრუშჩოვი აშენებდა კომუნიზმს, რომელიც ყველა პარამეტრებით სამოთხეს მოგაგონებდათ.

პირველმა მსოფლიო ომმა შემოიტანა მოწინააღმდეგის დემონიზაციის ინსტრუმენტი. მაგრამ ამისთვის მან უნდა შეასრულოს გარკვეული მოქმედება. მაგალითად, ძალადობა მოხუცთა, ქალთა და ბავშვთა წინააღმდეგ, რადგან სამხედროთა მოკვლა არ არის ისეთი მოქმედება, რომელსაც ეფექტი ექნება, მოწინააღმდეგის დემონიზაციისთვის საჭირო ძალადობრივი მოქმედება მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

გავიხსენოთ, რომ "ფაშისტები" ან "დამსჯელები", როგორც პერსონაჟები, უკვე მეორე მსოფლიო ომის დროიდან ახორციელებდნენ ძალადობრივ მოქმედებებს მოხუცების, ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ. ჩვენს დროში თუ გადმოვალთ იგივე სურათს მივიღებთ.

პროპაგანდა ქოქავს სიტუაციას: ფიზიკური მოვლენა (ნამდვილი ან გამოგონილი) — ეს არის ინფორმაციული მოვლენა, სადაც მოქმედებენ ჟურნალისტები; ეს არის მოვლენა, რომელშიც გამოყენებულნი არიან მწერლები და რეჟისორები. სტალინი თუ ლაპარაკობდა მწერლებზე, როგორც ადამიანის სულის ინჟინრებზე, ხრუშჩევი კიდევ უფრო ამარტივებდა სიტუაციას და მათ პარტიის მეავტომატეებს უწოდებდა.

დევიდ ელტეიდმა 1979 წელს წარმოადგეინა ფორმატების იდეა, რომელთა დახმარებითაც ხდება მოვლენის გარდაქმნა ახალ ამბად. ის განსაზღვრავს სამთავრობო დეზინფორმაციულ კამპანიას როგორც ასეთს, როდესაც მთავრობა კონკრეტული მიზნების მისაღწევად შეგნებულად აყალბებს ან ავრცელებს არაერთგვაროვან ინფორმაციას. მედიალოგიკის საკუთარ კონცეფციაში ის ამბობს: "ჩვენ წარვადგინეთ "მედიალოგიკა" 30 წლის წინათ, რათა აღგვეწერა, თუ როგორ მოქმედებს მედია, განსაკუთრებით ელექტრონული მედია, მისი გრამატიკა, ფორმატი და ა. შ., რათა მიიზიდოს აუდიტორია. საკვანძო მომენტი აქ მდგომარეობს იმაში, რომ გართობა და შიში უნდა გახდეს გართობის ბაზა არა მარტო მასობრივ კულტურასა და კინოში, არამედ საინფორმაციო გადაცემებშიც. პოლიტიკა და ოფიციალური პირები აღიარებენ იმას, რომ შიშზე დაყრდნობა, იმავე სურათების ჩართვით, რომლებიც შეიძლება კინოში ვნახოთ, საკმაოდ შედეგიანია".

სანიმუშოდ მას მოჰყავს ნარკოტიკების მიბმა ტერორიზმთან, რამაც გააჩინა სოციალური რეკლამაც, რომელშიც კონსტატირებულია: ნარკოტიკების ყიდვით, შენ მხარს უჭერ ტერორიზმს. შეკითხვაზე, შეიძლება თუ არა თავიდან ავიცილოთ ასეთი პროპაგანდის ზემოქმედება, ის პასუხობს: "პროპაგანდა მოქმედებს ყველაზე. საერთო ჯამში შეიძლება მოვახდინოთ კონსტატირება, რომ რაც უფრო მედიაგანათლებულია ადამიანი (იცნობს მას, თუ როგორ მოქმედებს მედია), მით უფრო კრიტიკულია მისი აზროვნება და მით უფრო ნაკლებად ექვემდებარება იგი ამგვარ ზეგავლენას. ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ ფიქრისა და შეფასების მეტი შესაძლებლობა, გააჩნიათ დიდი წვდომადობა მედიის სხვადასხვა ტიპის ინფორმაციებზე, ნაკლებად ექცევიან პირდაპირი ზეგავლენის ქვეშ".

ელტეიდს დაწერილი აქვს წიგნი შიშისა და კრიზისის შექმნის შესახებ და ასევე მთელი რიგი სტატიები ამ თემაზე წიგნში ის ხაზს უსვამს, რომ საშიშროება და რისკი თანამედროვე ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ცენტრალური მახასიათებელია. ერთ-ერთ სტატიაში ის აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ მსხვერპლი ყველგან გარს გვაკრავს, რომ შიშმა მთელს საზოგადოებაში შეაღწია. ელტეიდი აღნიშნავს, რომ არსებობს კიდევ ორი "სოციალური ფაქტი", რომლებზეც არსებობს სოციოლოგთა თანხმობა:

მასობრივ კულტურაში არსებული უამრავი ინფორმაცია და სურათი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან შიშთან, დანაშაულობასთან და ძალადობასთან.

ადამიანები სოციალურ ცხოვრებას აღიქვამენ როგორც ძალზედ საშიშს.

ყოველივე ამას მივყავართ იქამდე, რომ იქმნება რისკის საზოგადოება, რომელიც აგებულია პოლიტიკის, კონტროლისა და რისკების თავიდან აცილების ირგვლივ.. ფორმატები არეგულირებენ ინფორმაციის შერჩევას, ორგანიზებას და პრეზენტაციას. ისინი იძლევიან იმას, თუ რა უნდა იქნეს განხილული, როგორ უნდა იქნეს განხილული ან როგორ არ უნდა განიხილონ იგი, და საერთოდ, თუ რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

თავის დროზე შანტო აიენგარმა უკანასკნელი ცნობები დაჰყო ეპიზოდურ და თემატურ მომენტებად.

თემატური ახალი ამბები, ეპიზოდურისგან განსხვავებით, კონტექსტურად მოგვეწოდება. მათ არჩევენ ექსპერტები. შედეგად, მაგალითად, ეპიზოდურ ახალ ამბებში პასუხისმგებლობა სიღარიბისთვის გადააქვთ თვით ადამიანზე, ხოლო თემატურში — სახელმწიფოზე. მაგრამ რადგან თემატური ახალი ამბების მომზადება უფრო რთულია, ტელევიზიაში ჭარბობს ეპიზოდური ახალი ამბები, რითაც მრავალ საკითხში პასუხისმგებლობა ეკისრება არა სახელმწიფოს, არამედ თვით ადამიანს.

დანიელ დნოდურეი კონტენტის მწარმოებლებზე: „ნდობის მოპოვება მთელი ტექნოლოგიაა. ეს არის ძალზედ ფაქიზი, სპეციალური და არაჩვეულებრივი სამუშაო. რუსეთის ტელევიზია, ჩემის აზრით, უფრო ძლიერია, ვიდრე საიდუმლო სამსახურები, არმია, გენშტაბი და ამ ქვეყნის ძალადობის ნებისმიერი აპარატი ერთად აღებული".

ამ ინტერვიუში არის მეორე და საკმაოდ მნიშვნელოვანი ფრაზაც: "სინამდვილეში ის ადამიანები, რომლებიც ამზადებენ მასობრივ ცხოვრებისეულ წარმოდგენებს, ხალხში ნერგავენ მითოლოგიურ პროგრამებს, რომლებიც დაკავშირებულია ყოველდღიურობის შეგნებასთან, მაგალითად, როგორ გავიგოთ მალაიზიური ლაინერის ჩამოგდება. ეს არის მედიის უზარმაზარი, ძალზედ პროფესიული, ძალზედ რთული და არაჩვეულებრივად ეფექტური მუშაობა". ანუ ხდება გარკვეული ტიპის მოვლენებზე მოსახლეობის დამოკიდებულების მოდელირება.

ახალი ამბები ასევე ასახავენ მოცემულ საზოგადოებაში არსებულს წარმოდგენას მსოფლიოზე. რომელ მოვლენასაც გინდა აშუქებდნენ მასმედიის საშუალებით, ეკრანზე მაინც მსოფლიოს დომინირებული სურათი გადის. როდესაც ვუყურებთ უცხოურ ახალ ამბებს და ვთარგმნით მათ, მსოფლიოს სურათი სულ სხვა აღმოჩნდება. როდესაც ვიღებთ უცხოეთის ახალ ამბებს და ხელახლა ვაკეთებთ ტექსტს, მსოფლიოს სურათი მაინც შეთვისებული ვიზუალიზაციის პრიზმაში იჭრება, რომელიც აქცენტირებული იქნება მსოფლიოს უცხო სურათისთვის საჭირო მომენტებისთვის... მოკლედ ადამიანების დარწმუნება დღეს, შავი რომ თეთრია ტექნიკის და მედიის საქმე გახდა.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ჭრელი კვირა



მემკვიდრეობა ლოცვის სანაცვლოდ

ერთხელ, 1990-იანი წლების ბოლოს, ესპანელი მეწარმე ედუარდო სიერა სტოკჰოლმში გაემგზავრა, რათა თავისი საქმე, რომელიც არც თუ კარგად მიდიოდა, გამოესწორებინა. იგი მორწმუნე კათოლიკე იყო, გადაწყვიტა ეკლესიაში შესულიყო და ელოცა. ტაძარში არავინ იყო, თუ არ ჩავთვლით კუბოს, რომელშიც მოხუცი მამაკაცი იყო ჩასვენებული. მას ჭირისუფლები არ ჰყავდა. ედუარდოს ღრმად სწამდა, რომ ყველა ადამიანის სული პატივისცემას იმსახურებს და გარდაცვლილისთვის ილოცა. შემდეგ კი წიგნში, რომელშიც გარდაცვლილის ახლობლებისთვის სამძიმარს წერენ, ჩანაწერი გააკეთა. მალე ედუარდომ მიიღო შეტყობინება შვედი ნოტარიუსისგან, რომელიც აცნობებდა, რომ იგი ვინმე იენს სვენსონის რამდენიმე მილიონიანი ქონების მემკვიდრე გახდა. აღმოჩნდა, რომ სვენსონმა, რომელიც მარტოხელა იყო, თავისი ქონება იმას დაუტოვა, ვინც მის ცხედარს დაიტირებდა და მისი სულისთვის ილოცებდა.

იდუმალებით მოცული დროში მოგზაური

XX ს-ის ბოლოს ჰონკონგის გაზეთ „ვენ ვენ პო“-ში გამოქვეყნდა შენიშვნა იდუმალებით მოცული ჩინელი ბიჭუნას იუნ ლი ჩენის შესახებ. 1987 წელს



ფსიქიატრთან მიიყვანეს მოზარდი, რომელიც ამტკიცებდა, რომ იგი წარსულიდან მოვიდა. ბიჭუნა ძველჩინურ ენაზე საუბრობდა და დაწვრილებით ყვებოდა დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ადამიანების შესახებ. მან ჩინეთის ისტორიის ისეთი წვრილმანები იცოდა, რაც მხოლოდ დარგის სპეციალისტებისთვის იყო ცნობილი. ბიჭს მკურნალობა ჩაუტარეს, მერე კი იგი მოულოდნელად გაქრა. ამ ამბით ისტოერიკოსი ინ შაო დაინტერესდა და დაიწყო გამოძიება. ერთ-ერთ ტაძარში მან მიაკვლია უძველეს მანუსკრიპტს, რომელშიც მოთხრობილი იყო ერთი ბიჭუნას უცნაური ამბავი, რომელსაც იუნ ლი ჩენი ერქვა! ჟამთააღმწერელი ყვებოდა, რომ ერთხელ ეს ბიჭუნა 10 წლით დაიკარგა და უკან სულიერად დაავადებული დაბრუნდა. ბიჭუნა ამტკიცებდა, რომ იგი შორეულ მომავალში მოხვდა, ნახა ცაში უზარმაზარი ჩიტები, საზიდრები, რომლებიც თავისით გადაადგილდებოდნენ და სხვა ბევრი ფანტასტიკური რამ...

მასონები მთვარეზე

ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ცნობილ ადამიანთა შორის ბევრი მასონია. თავისუფალი კალატოზების საძმოს წევრები იყვნენ: ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, ფერენც ლისტი, იოზეფ ჰაიდნი, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, ნიკოლო პაგანინი, იაკობ სიბელიუსი, მწერლები იოჰან ვოლფგანგ გოეთე, რაბინდრანატ თაგორი, ვალტერ სკოტი, ოსკარ უაილდი, მარკ ტვენი, პოეტები ალექსანდრ პოპი, რობერტ ბერნსი, რედიარდ კიპლინგი. მასონები იყვნენ თეოდორ რუზველტი, უინსტონ ჩერჩილი, ჯონ ჯეიკობ ასტორი და ჰენრი ფორდი. საძმოს მიეკუთვნებოდნენ ჩარლზ ლინდბერგი, რომელმაც მარტომ განახორციელა ატლანტიკის ოკეანეზე გადაფრენა, პოლარული მკვლევარები რობერტ პირი, მეთიუ ჰენსონი, ადმირალი რიჩარდ ბერდი. ამერიკელ ასტრონავტს ედვინ ოლდრინს კი, რომელმაც 1969 წლის 21 ივლისს ფეხი დადგა მთვარეზე, ჯიბეში ედო დროშა, რომელზეც მასონების ემბლემები იყო გამოსახული.

ატლანტიდა: ფრინველების მეხსიერება

ახლა ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ატლანტიდის მიმართ ინტერესი 1858 წელს გაჩნდა და გამოწვედაკავშირებული იყო იმ დროისთვის ლეგენდარული ტექნიკური მიღწევასთან — ტრანსატლანტიკური სატელეგრაფო კაბელის გაყვანასთან. სწორედ მაშინ აღმოაჩინეს კაბელის გამყვანმა ხომალდებმა, რომ ატლანტიკის შუაგულში სიღრმე მკვეთრად მცირდებოდა. ამასთან, მეზღვაურები გააოცა გადამფრენი ფრინველების ქცევამ, რომლებიც გუნდ-გუნდად მიემართებოდნენ ევროპიდან სამხრეთ ამერიკისკენ. ისინი დიდი ხნის განმავლობაში ტრიალებდნენ ჰაერში ატლანტიკის ამ უდაბურ ადგილას და მერე თავიანთ რთულ გზას აგრძელებდნენ. შესაძლოა, უძველესი ინსტინქტი ფრინველებს კარნახობდა, რომ აქ ოდესღაც მიწა იყო, სადაც მათი შორეული წინაპრები ისვენებდნენ ხანგრძლივი გზის წინ, შესაძლოა, გამოიზამთრებდნენ და ბარტყებსაც გამოჩეკდნენ ხოლმე...

პოლიგლოტი შექსპირი

თუ მისი ნაწარმოებების მიხედვით ვიმსჯელებთ, უილიამ შექსპირი ენციკლოპედიურ ცოდნას ფლობდა — მისი სიტყვების მარაგი დაახლოებით 20 ათას სიტყვას შეადგენდა მაშინ, როცა იმ დროის ჩვეულებრივი ადამიანი მხოლოდ 2 ათას სიტყვას იყენებდა. შექსპირის თანამედროვე ფრენსის ბეკონის სიტყვის მარაგი 9-10 ათასს არ აღემატებოდა, ხოლო თანამედროვე განათლებული ინგლისელისა — 4 ათას სიტყვას. გარდა ამისა, შექსპირმა თავად გააფართოვა ინგლისური ენა, მან შემოიტანა ხმარებაში 3200 ახალი სიტყვა. ამასთანავე, შექსპირმა რამდენიმე უცხო ენაც იცოდა: იტალიური, ფრანგული, ლათინური, ბერძნული. იგი ჰომეროსის, პლავტიუსის, ოვიდიუსის, სენეკას, პლუტარქეს ნაშრომებს ორიგინალში კითხულობდა, სრულყოფილად იცოდა ბერძნულ-რომაული მითოლოგია. შექსპირის ციტატების მიხედვით მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მას წაკითხული ჰქონდა მონტენის, რონსარის, არიოსტოს, ბოკაჩოს და წარსულის სხვა ცნობილი ავტორების ნაწარმოებები.

ინდიელი ჯოს ბუმბულები

ინდიელთა ტომის, კროუს ბელადი რომ გამხდარიყავი, ამისთვის ოთხი აუცილებელი



პირობა უნდა შეგესრულებინა: მოწინააღმდეგეს ისე უნდა შეხებოდი, რომ არ მოგეკლა, დაუფლებოდი მის იარაღს, მოგეპარა მისი ცხენი და სათავეში ჩადგომოდი წარმატებულ სამხედრო ოპერაციას. უკანასკნელი, ვინც ყველა ამ პირობის შესრულება შეძლო, იყო ინდიელი ჯო მედისინ კროუ, რომელიც 1913 წელს დაიბადა. ყველა მისი მიღწევა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მოხდა, როცა იგი ამერიკულ დივიზიაში მზვერავად მსახურობდა მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ. ჯო ყოველთვის იფარავდა სხეულს საბრძოლო ნახატებით და თავზე არწივის ფრთებს იკეთებდა, რასაც უნიფორმისა და სამხედრო ქუდის ქვეშ მალავდა. როდესაც გერმანელებისგან მოპარული ცხენებით უკან ბრუნდებოდა, იგი მღეროდა სიმღერას კროუს მეომრების სიმამაცის შესახებ.

რიშატი, საჰარის თვალი

რიშატი (გუელ-ერ რიშატი, ან საჰარის თვალი) — ეს იდუმალებით მოცული გეოლოგიური წარმონაქმნია, რომელიც საჰარის მავრიტანიულ ნაწილში მდებარეობს. მისი დიამეტრი 50 კმ-ია და იდეალურად მრგვალი რგოლებისგან შედგება. საგულისხმოა, რომ ამ სტრუქტურის ახსნა მეცნიერებმა დღემდე ვერ შეძლეს. რაღაც პერიოდის განმავლობაში მას მეტეორიტის ჩამოვარდნის ადგილად მიიჩნევდნენ, თუმცა მისი ფსკერი აბსოლუტურად ბრტყელია. მისი ვულკანური წარმოშობაც საფუძველს არის მოკლებული, რადგან ამოფრქვეული ქანებისგან შექმნილი გუმბათი არსად შეიმჩნევა. ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ დიდი საიმაღლიდან რიშატი თვალს ჰგავს. ის კოსმონავტებისთვის ორიენტირს წარმოადგენს. სახელწოდება საჰარის თვალი ამ წარმონაქმნს უძველეს დროში უწოდეს.

ყალბი პასპორტები ჯაშუშებისთვის

დიდი სამამულო ომის დროს სსრ კავშირის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებმა გამოააშკარავეს რამდენიმე გერმანელი აგენტი. მიზეზი უმცირესი დეტალი გახდა. საქმე ის გახლავთ, რომ ჯაშუშები კარგად იყვნენ მომზადებულნი და ზედმიწევნით ზუსტად დამზადებული საბჭოთა პასპორტები ჰქონდათ. ერთადერთი, რამაც უშიშროების წარმომადგენლები დააეჭვა, იყო ის, რომ ფურცლების დასამაგრებელი ლითონი უჟანგავი ფოლადისგან იყო დამზადებული და პასპორტებზე ამ დოკუმენტისთვის დამახასიათებელი ჟანგის კვალი არ ჩანდა.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

0322 300 308; 0322 450 450;
558 300 088

დაბალი ტარიფები,
მაღალკვალიფიციური,
კომფორტული მომსახურება 24
საათის განმავლობაში

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა